CIAN MAGENTA YALLOW BLACK

გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!!!

N2 /3318/ 6-7 იანვარი 2016 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

დაესწარით მრავალს!!!

ვალერი გელბახიანი: „ქართულ ოცნებაში“ პანიკაა!

3

სამი მიზეზი, რამაც უმრავლესობის წევრები დააფრთხო

რა ხდებოდა პატრიარქის იუბილეზე და ვინ არის მესამე ძალა, რომელიც მის დასაცავად ერთიანდება?

11

თემურ შაშიაშვილი: „ჩვენი პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილი ბოროტი გეგმების აღსრულების გამოა ახლოს პატრიარქთან“

2016 წლიდან ძალაში შესული კანონები

5

რა აკრძალვები და შეღავათები დაუწესდათ მოქალაქეებს

აი, რისთვის უყიდია მერიას კუბოები...

13

უსახლკაროები ნარმანიას აშენებულ თავშესაფარში არ შეუშვეს და გარდაიცვალნენ

„შირაქის პროდუქტის“ ჯიხურიდან მძარცველებმა საღეჭი რეზინი და ხურდა ფული წაიღეს

თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე „შირაქის პროდუქტის“ ჯიხური გაქურდეს. შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები იმყოფებოდნენ, როგორც მათ განაცხადეს, წაღებულია ღვინო, საღეჭი რეზინი და ხურდა ფული.

ადგილზე არსებული სხვა სავაჭრო ჯიხურის გამყიდველის თქმით, შემთხვევა, სავარაუდოდ, ღამით მოხდა, რადგან დილით მისულს მაღაზია უკვე გაქურდული დახვდა.

„შირაქის პროდუქტის“ გამყიდველმა განაცხადა, რომ მაღაზიიდან ფულია წაღებული, თუმცა არა დიდი რაოდენობით. (ipn.ge)

რა გახდა 70 წლის მამაკაცის ქუჩაში გარდაცვალების მიზეზი — შსს-ს განმარტება

მეტროსადგურ „დელისთან“ მამაკაცის გარდაცვალებას ოჯახი გულის პრობლემებს უკავშირებს. დამატებით ინფორმაციას მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ „112“-ში 14:00 სთ-ზე შეტყობინება შევიდა. ინიციატორის ინფორმაციით, მეტროსადგურ „დელისთან“, მიწისქვეშა გადასასვლელთან, ხანდაზმული მამაკაცი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, საპატრულო პოლიცია და კრიმინალური პოლიცია შეტყობინების მიღებისთანავე გამოცხადდა, 1949 წელს დაბადებული მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ. სამართალდამცველებმა ადგილზე წინასაგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს და გარდაცვლილის ოჯახს ინფორმაცია მიანოდეს. შემთხვევის ადგილზე გარდაცვლილის მეუღლე და შვილი მივიდნენ. გარდაცვლილის ოჯახის თქმით, მამაკაცს გულის პრობლემები ჰქონდა და მის გარდაცვალებას ამას უკავშირებენ. ვინაიდან ოჯახს პრეტენზია არ ჰქონდა და ექსპერტიზაზეც უარს აცხადებენ, გამოძიება არ დაწყებულა“, – აცხადებენ შსს-ში.

ტრაგიკული შემთხვევა ქუთაისში — გარდაცვლილია მცირეწლოვანი

ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე, მრავალსართულიანი კორპუსიდან ბეტონის კონსტრუქციის ჩამონგრევის შედეგად მცირეწლოვანი ბავშვი გარდაიცვალა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ლევან მურუსიძე: განჩინება საბოლოოა! ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს!



„სტრასბურგში არსებული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გაოგნებულია იმ შეთანხმებული ქმედებებით, რომლითაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოები მოქმედებდნენ... რათა სანდრო გირგვლიანის საშინელი მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო. ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიერ შეთანხმებული მოქმედება მოიცავდა ისეთ ქმედებებს, როგორიც იყო ხარვეზები როგორც შსს-ს, ასევე, პროკურატურის მიერ წარმოებულ გამოძიებებში; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უკანონო გადაწყვეტილება ყველა განსასჯელის ერთ საკანში მოთავსებასთან დაკავშირებით; ასევე, ხარვეზები სასამართლოს მიმდინარეობისას და პრეზიდენტ სააკაშვილის „არაკეთილგონივრული შემწყნარებლობა“ თავისუფლდეს წინა ხელისუფლების ვალდებულებისგანაც. ეს ადამიანი არის ამის გარანტი“, - ასეთ გარანტად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა იუსტიციის საბჭოს ახლად არჩეული მდივანი ლევან მურუსიძე მოიხსენია, როდესაც მას ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურთან ერთად შეხვდა.

ეს ამბავი „ქართული ოცნების“ გამარჯვების ერთი წლისთავზე, 2013 წლის 1-ელ ოქტომბერს მოხდა...

„ქართული ოცნების“ გამარჯვების სამი წლისთავზე კი ლევან მურუსიძეს ასევე ყოფილი პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა.

რა ინფორმაციით იხელმძღვანელეს საქართველოს პრემიერებმა, როდესაც დამოუკიდებელი სასამართლოს გარანტად გამოაცხადეს ადამიანი, რომლის თვალწინაც გაიარა 9-წლიანმა მართულმსჯავრდადებულთა მიმართ, როდესაც 2008 წელს მან შეიწყალა ისინი და სასჯელი გაუნახევრა. 2009 წელს ოთხივე მსჯავრდადებული ვადაზე ადრე გაათავისუფლეს“. სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი სანდრო გირგვლიანის საქმეზე. 26 აპრილი. 2011 წელი.

სტრასბურგის სასამართლოს განაჩენში მოხსენიებულ პირებს შორის, „რომლებიც შეთანხმებულად მოქმედებდნენ იმისთვის, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე განაჩენი არ დამდგარიყო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობის (ნინო გვენეტაძის გარდა) მიერ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ არჩეული ლევან მურუსიძეც ფიგურირებს.

ლევან მურუსიძე ის მოსამართლეა, რომლის მონაწილეობითაც უზენაესმა სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებს სასჯელი შეუმცირა.

„ლევან მურუსიძე სისტემის მსხვერპლი იყო“ – ასეთი შეფასება მისცა მურუსიძის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა, პრეზიდენტის მიერ ირინა ენუქიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების ფაქტს კი სპექტაკლი უწოდა.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ბიძინა ივანიშვილი ლევან მურუსიძის საზოგადოებრივი რისხვისგან დაცვას შეეცადა.

ლევან მურუსიძემ გზა კანცელარიისკენ ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობისას გაჭრა...

„ეს ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც არის დემოკრატიული გზით არჩეული, იკისრებს პასუხისმგებლობას სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. მას სურს, რომ მოსამართლეს ჰქონდეს ნდობა და პრესტიჟი, სასამართლო კი იყოს დამოუკიდებელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხელისუფლების წევრები ვერ გაბედავენ სასამართლოს მუშაობაში ჩარევას, ამაზე იქნება უმკაცრესი რეაგირება. თუმცა აუცილებელია, თითოეული მოსამართლე განმა სასამართლომ და ერთხელაც არ გამოუთქვამს პროტესტი არაფერზე? ვინ აცნობს პრემიერებს ამ ადამიანების განვლილ გზას?!

სასამართლო სისტემაზე ელემენტარული წარმოდგენის მქონე ადამიანმაც კი იცის, რომ მოსამართლეების მთავარი „ბეგრაუნდი“ მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებია, რომელსაც სისტემისადმი მონური მორჩილება არ ამართლებს.

როგორი იყო მურუსიძის წარსული საქმეები, რომელიც მის სამოსამართლო საქმიანობაში ჩაინერა და რომელიც მათ საქართველოს სახელით გამოიტანეს?

ამის შესახებ, როგორც ჩანს, ჯერ პრემიერ ივანიშვილისთვის, შემდეგ კი პრემიერ ღარიბაშვილისთვის ინფორმაციის მიწოდება თავიანთ მრჩევლებს, საჭიროდ არ ჩაუთვლიათ.

არის სხვა ვერსიაც: ინფორმაციას ფლობენ, მაგრამ კოტე კუბლაშვილის მარჯვენა ხელისა და ზურაბ ადეიშვილის გუნდის წევრის გადაბირების სურვილი იმდენად დიდია, რომ გირგვლიანისა და მოლაშვილის საქმეებიც კი გადაფარა... საქმეები, რომელზე აპელირებითაც „ქართულმა ოცნებამ“ მთელი თავისი წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარა...

საუბარია იმ ლევან მურუსიძეზე, რომელმაც 2004 წლიდან დღემდე ისე გაიარა გზა ხელისუფლების კონტროლირებად სასამართლოში, რომ არასდროს გამოუთქვამს მცირეოდენი შეშფოთებაც კი იმ მოვლენებზე, რაც სასამართლოში ხდებოდა. უფრო მეტიც, ის იმ პრივილეგირებულ და სანდო მოსამართლეთა სიაში აღმოჩნდა, რომელიც საქალაქო სასამართლოდან პირდაპირ უზენაეს სასამართლოში გადაიყვანეს.

ლევან მურუსიძის ხელმოწერა არაერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს:

— ლევან მურუსიძე — სანდრო გირგვლიანის საქმეში

ლევან მურუსიძე ის მოსამართლეა, რომლის მონაწილეობითაც უზენაესმა სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებს სასჯელი შეუმცირა.

ქ. თბილისი. 27 ივლისი. 2007 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე), ზაზა მეიშვილი და ლევან მურუსიძე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდადებულების – გერონტი ალანიას, ავთანდილ აფციაურის, ალექსანდრე ღაჭავასა და მიხეილ ბიბილურიძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დავით ხაჟალიას, დაზარალებულ ლევან ბუხაიძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის განაჩენზე.

განჩინებაში, რომელიც საბოლოო სასჯელი შეუმცირა.

ქ. თბილისი. 27 ივლისი. 2007 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე), ზაზა მეიშვილი და ლევან მურუსიძე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდადებულების – გერონტი ალანიას, ავთანდილ აფციაურის, ალექსანდრე ღაჭავასა და მიხეილ ბიბილურიძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დავით ხაჟალიას, დაზარალებულ ლევან ბუხაიძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის განაჩენზე.

რა ინფორმაციით იხელმძღვანელეს საქართველოს პრემიერებმა, როდესაც დამოუკიდებელი სასამართლოს გარანტად გამოაცხადეს ადამიანი, რომლის თვალწინაც გაიარა 9-წლიანმა მართულმსჯავრდადებულთა მიმართ, როდესაც 2008 წელს მან შეიწყალა ისინი და სასჯელი გაუნახევრა. 2009 წელს ოთხივე მსჯავრდადებული ვადაზე ადრე გაათავისუფლეს“. სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი სანდრო გირგვლიანის საქმეზე. 26 აპრილი. 2011 წელი.

სტრასბურგის სასამართლოს განაჩენში მოხსენიებულ პირებს შორის, „რომლებიც შეთანხმებულად მოქმედებდნენ იმისთვის, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე განაჩენი არ დამდგარიყო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობის (ნინო გვენეტაძის გარდა) მიერ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ არჩეული ლევან მურუსიძეც ფიგურირებს.

ლევან მურუსიძე ის მოსამართლეა, რომლის მონაწილეობითაც უზენაესმა სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებს სასჯელი შეუმცირა.

„ლევან მურუსიძე სისტემის მსხვერპლი იყო“ – ასეთი შეფასება მისცა მურუსიძის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა, პრეზიდენტის მიერ ირინა ენუქიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების ფაქტს კი სპექტაკლი უწოდა.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ბიძინა ივანიშვილი ლევან მურუსიძის საზოგადოებრივი რისხვისგან დაცვას შეეცადა.

ლევან მურუსიძემ გზა კანცელარიისკენ ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობისას გაჭრა...

„ეს ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც არის დემოკრატიული გზით არჩეული, იკისრებს პასუხისმგებლობას სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. მას სურს, რომ მოსამართლეს ჰქონდეს ნდობა და პრესტიჟი, სასამართლო კი იყოს დამოუკიდებელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხელისუფლების წევრები ვერ გაბედავენ სასამართლოს მუშაობაში ჩარევას, ამაზე იქნება უმკაცრესი რეაგირება. თუმცა აუცილებელია, თითოეული მოსამართლე განმა

იყო და არ გასაჩივრდებოდა და რომელსაც მურუსიძის ხელმოწერაც აქვს, ვკითხულობთ:

„დაზარალებულ ლევან ბუხაიძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში გერონტი ალანიას, ავთანდილ აფციაურის, მიხეილ ბიბილურიძისა და ალექსანდრე ღაჭავას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა“.

ამ გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებს სასჯელი შეუმცირა. გერონტი ალანიას სასჯელის სახით სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული 8 წლის ნაცვლად, 7 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ალექსანდრე ღაჭავას, ავთანდილ აფციაურსა და მიხეილ ბიბილურიძეს კი 7 წლის ნაცვლად, 6 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

2007 წლის 24 აგვისტოს, სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე გარდაიცვალა...

— ლევან მურუსიძე — „ოპოზიციონერი“ მოსამართლეების საქმეში

ლევან მურუსიძე, რომელიც წლების განმავლობაში პროკურატურაში მუშაობდა და შემდეგ კოტე კუბლაშვილის მარჯვენა ხელი იყო, არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი თითქმის ყველა იმ უფლებადამცველისა და ადვოკატისგან, რომლებიც დღეს ბიძინა ივანიშვილის საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არიან.

ლევან მურუსიძე არის ადამიანი, რომელიც 2005 წელს მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების (მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე, თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაევი) წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინური წარმოებისა და განთავისუფლების პროცესში.

„ლევან მურუსიძე ის ადამიანი იყო, რომელმაც თვალი არ დაახამხამა და უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლე, მათ შორის მეც, უზენაეს სასამართლოში დაკავებული თანამდებობებიდან, უკანონოდ გაათავისუფლა. მას გამოცდა სისხლის სამართლის მიმართულებით აქვს ჩაბარებული და წლების მანძილზე, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, მართლმსაჯულებას ადეიშვილის დავალებით ახორციელებდა. ეს ადამიანები თავის ცოდვას ვერ გამოისყიდიან“, – ეს კომენტარი მერაბ ტურავამ მაშინ გააკეთა, როდესაც მურუსიძე ბიძინა ივანიშვილს შეხვდა.

— ლევან მურუსიძე — სულხან მოლაშვილის საქმეში

გირგვლიანის საქმის გარდა, მურუსიძე კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეში მონაწილეობდა. 2006 წლის 23 ივნისს მან წაიკითხა განაჩენი, რომლითაც კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარე სულხან მოლაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გთავაზობთ ლევან მურუსიძის კომენტარს სულხან მოლაშვილის საქმეზე გაზეთ „ლიბერალიდან“.

– დღესაც ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება კანონს შეესაბამებოდა?

– დიახ, რა თქმა უნდა.

— როდესაც უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობდა, უკვე გახმაურებული იყო მოლაშვილის წამების ამბავი, გამოქვეყნებული იყო სიგარეტის ნამწვებით ნაწამები მსჯავრდადებულ მოლაშვილის ფოტოები, უკვე გავრცელებული იყო მათიას იორშის განცხადება, რომ ეს იყო ყველაზე ვანდალური მოპყრობის ფაქტები მის პრაქტიკაში, წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო სამდივნოს დირექტორს, ერიკ სოტასს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ღია წერილი მოლაშვილის დაუყოვნებლივი განთავისუფლების მოთხოვნით. ამ ყველაფერმა თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენა არ იქონია?

– მე მოსამართლე ვარ, კანონის საფუძველზე უნდა ვიმოქმედო. მე მაინტერესებს, ჩაიდინა თუ არა პიროვნებამ დანაშაული. ციხეს რაც შეეხება, ეს სხვა სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა. წამების ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლოს პასუხისმგებლობა რაში მდგომარეობს, არ ვიცი, – აცხადებდა მურუსიძე.

მოსამართლე ლევან მურუსიძე, რომელმაც ახალი ხელისუფლების ყველა პრემიერის კარი მოიარა, უახლოეს წარსულში იმის აუცილებლობასაც ვერ ხედავდა, რომ ციხეში ადამიანის წამების ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო გამოძიება ჩატარებულიყო ან როგორც მინიმუმ, სასამართლოს ამ ფაქტის გათვალისწინებით ემსჯელა იმ ჩვენებებზე, რომელიც საქმეში იდო და რომელიც მოლაშვილისგან არაადამიანური წამების შედეგად მიიღეს... (ipress.ge)

ვალერი გელბახიანი: „ქართულ ოცნებაში“ პანიკაა!

სამი მიზეზი, რამაც უმრავლესობის წევრები დააფრთხო

„ბიძინა ივანიშვილი ამბობს, — კოალიციას გვერდით დავუდგები არჩევნებზე და მე არაფერი არ მინდაო. ასე არაფერი გამოვა, თუ მოდიხარ, გენდობი, თუ არ მოდიხარ, რატომ უნდა გენდო?!“

„კალაძე რაღაცებში გაერია, როგორც ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი, საეჭვო ურთიერთობებშია შემჩნეული, ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით, მისი საქმიანობა მრავალ კითხვას ბადებს. თუ კალაძის კანდიდატურა სიის პირველ ნომრად დასახელდება, მერწმუნეთ, რომ მასზე შესაძლებელია სერიოზული შავი პიარკამპანიის აგორება. ისეთი სურათი შეიქმნება, ყურებს არ გაეგონება“

პარტია „ქართული ოცნება“ გაზაფხულზე დაასახელებს პარტიის თავმჯდომარის კანდიდატურას. ვინ შეცვლის ირაკლი ღარიბაშვილს? ეს საკითხი დღემდე გასაიდუმლოებულია არა იმიტომ, რომ არსებობს კონკრეტული ადამიანი და მის სახელს მალავენ, არამედ მიმდინარეობს კანდიდატურის შერჩევა ამ პოსტზე. ასევე, გაზაფხულზე გადაწყდება, ვინ დასახელდება საარჩევნო სიის პირველ ნომრად.

იურისტი ვალერი გელბახიანი „ალიასთან“ ინტერვიუში ამბობს:

– ყველანაირი პოლიტიკური ლოგიკა მოითხოვს ერთ რამეს, რომ ბიძინა ივანიშვილი უნდა იყოს სიის პირველი ნომერი, თუკი ის პროცესებს გვერდიდან დააკვირდება და ასე გაუწევს პარტიას ლობირებას, ქართველი ხალხი დაინახავს ერთ რამეს, რომ ამ კაცს პოლიტიკაში ყოფნა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ უნდა, ხოლო ხალხი ამ ხელისუფლებას ივანიშვილის ხათრით ხმას აღარ მისცემს. ამიტომ, პოლიტიკაში მისი ღიად ჩართვა გარდაუვალია, მან უნდა უთხრას ქართველ ხალხს, – მე ვიქნები სიის პირველი ნომერიც, პარტიის თავმჯდომარეც და მომავალი ხელისუფალიც, ხმა მე მომეცით... თორემ ამ ხალხს, ვინც არ უნდა წარუდგინოს ივანიშვილმა და სთხოვოს, ჩემი ხათრით ხმა მიეცითო, დამერწმუნეთ, ეს ხალხი ბიძინა ივანიშვილს ხათრით აღარ გაჰყვება.

— ხალხი გაღატაკდა და ივანიშვილი აცხადებს, ყველაფერი კარგადააო და ეგ რომ გახდეს პირველი ნომერი, რატომღა დაუჯერებენ?.. თუმცა, მოდით, განვიხილოთ შესაძლო კანდიდატები, ვინ შეიძლება ვიხილოთ სიის პირველი ნომრისა და პარტიის თავმჯდომარის პოსტზე, თუკი ბიძინა ივანიშვილი კატეგორიულ უარს იტყვის პირველ ნომრობაზე?

– კი ბატონო, განვიხილოთ, ვინ ჰყავს მმართველ გუნდს ლიდერები. მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ ჰყავს ისეთი გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც თავისი იდეებით ქართველ ხალხს ხიბლავს და მას გაჰყვება. ყველა არის ჩინოვნიკი... მაპატიოს უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ, მისი წყენინება ნამდვილად არ მინდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ყველაზე მაღალი პოლიტიკური პოსტი აქვს საპარლამენტო წარმომადგენლობაში, ზვიად კვაჭანტირაძის ლიდერობის ადგილს ქართულ პოლიტიკაში ნამდვილად ვერ ვხედავ. ახლა, რაც შეეხება ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერს, გია ვოლსკის... კი ბატონო, ის თბილისელი ბიჭია, ასე თუ ისე, პარტიის ფუნქციონირებაში მონაწილეობდა, რაღაც პოლიტიკური გამოცდილება აქვს, მაგრამ ის არ არის სახე, რომელმაც ქართველი მოსახლეობა უნდა მოხიბლოს. რაც შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანს ირაკლი კობახიძეს, ის ახალგაზრდა კაცია, წარმატებებს ვუსურვებ, მაგრამ გამოუცდელია. მისი ლიდერობა კი ნამდვილად ზედმეტი ფუფუნებაა და საკუთარი გუნდი არ გაჰყვება.

— რაც შეეხება კახი კალაძეს, რომელიც 2012 წელს იყო საარჩევნო სიის პირველი ნომერი, რას ფიქრობთ მასზე?

– კახი კალაძე აღმასრულებელ ხელისუფლებაში რომ არ წასულიყო და პარლამენტში დარჩენილიყო, ყველაზე მიზანშეწონილი სწორედ კახი კალაძის ლიდერობა იქნებოდა, მაგრამ კალაძე რაღაცებში გაერია, როგორც ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი, საეჭვო ურთიერთობებშია შემჩნეული, ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით, მისი საქმიანობა მრავალ კითხვას ბადებს. თუ კალაძის კანდიდატურა სიის პირველ ნომრად დასახელდება, მერწმუნეთ, რომ მასზე შესაძლებელია სერიოზული შავი პიარკამპანიის აგორება. ისეთი სურათი შეიქმნება, ყურებს არ გაეგონება. ვისაც კახი კალაძის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია აქვს, ყველაზე კარგად იცის, რომ „ქართული ოცნების“ ჩაძირვა და კალაძეზე შავი პიარის აგორება ყველაზე მარტივი იქნება, თუკი ის სიის პირველ ნომრად დასახელდება. მეტსაც გეტყვით, სულაც არ იქნება საჭირო შავი პიარის აგორება მისი ოპონენტების მხრიდან, კონკრეტული თემები და საკითხები გამოვა დღის შუქზე და ეს იმდენ კითხვას წარმოშობს და იმდენ საეჭვო მომენტს გააჩენს, რომ გიმეორებთ, მისი ლიდერობა პარტიას გააშავებს.

— რაც შეეხება გიორგი კვირიკაშვილს, ვიდრე პრემიერი ღარიბაშვილი გადაგდებდა პოსტიდან, გვქონდა ინფორმაცია, რომ კვირიკაშვილით ანაცვლებდნენ ღარიბაშვილს და სიის პირველ ნომრად აპირებდნენ მის დასახელებას, რას ფიქრობთ ამაზე?

– მაშინ კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრობიდან უნდა გადადგეს და პარტიას ჩაუდგეს სათავეში; სულ ტყუილად ვმარჩიელობთ. თუ ივანიშვილი არ იქნება სიის სათავეში, მაშინ ჩრდილოვანი ძალაუფლების თემა კვლავ იქნება დღის წესრიგში. არ გამოვრიცხავ, რომ კოალიცია არჩევნებზე ასეთი სახელწოდებით წარდგეს ამომრჩევლის წინაშე – „ივანიშვილი და კოალიცია „ქართული ოცნება“, მას შეუძლია თქვას, რომ არ უნდა დეპუტატობა, ჩაეხსნას გამარჯვების შემდეგ და დაბრუნდეს... სხვათა შორის, ასე იქცეოდა ასლან აბაშიძე, ის იყო სიის პირველი ნომერი, გამოდიოდა არჩევნებზე და ამბობდა, – მე დამიჭირეთ მხარიო... სამჯერ აირჩიეს ამ წესით, მაგრამ ყოველთვის უარი თქვა დეპუტატობაზე; ამ პოლიტიკური ტექნოლოგიის გამოყენებაც შეუძლია ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ის ამბობს, – კოალიციას გვერდით დავუდგები არჩევნებზე და მე არაფერი არ მინდაო. ასე არაფერი გამოვა, თუ მოდიხარ, გენდობი, თუ არ მოდიხარ, რატომ უნდა გენდო?! იცით, კიდევ რას ვვარაუდობ? თუ ივანიშვილმა მაინც ასე გადაწყვიტა, რომ სიას არ ჩაუდგება სათავეში, ალბათ, უფრო „რესპუბლიკელები“ წამოიწევენ და არ გამოვრიცხავ, სიის პირველ ნომრად დავით უსუფაშვილი ვიხილოთ. თუკი ეს ორი პოლიტიკური ძალა – „ქართული ოცნება“ და „რესპუბლიკური პარტია“ შეთანხმდება, რომ მომდევნო პარლამენტში ერთად იქნებიან, კონსტრუქციის მიხედვით მაინც ყველაზე მისაღები უსუფაშვილი გახლავთ.

— და რა დივიდენდს მოუტანს სიის პირველი ნომერი „რესპუბლიკელი“ კოალიცია „ქართულ ოცნებას“?

– გასაგებია, რომ ხალხს „რესპუბლიკური პარტია“ აღიზიანებს, მაგრამ ხომ ხედავთ, ფაქტია, ოთხი წელია ეს პარტია ხელისუფლების სათავეშია, ის სამპროცენტიანი პარტია იყო ოდესღაც, რომელსაც ასე წამოაძახებენ ხოლმე: დღეს „რესპუბლიკური პარტია“ სამპროცენტიანი აღარ არის.

— ივანიშვილმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს დაახმარს საკუთარ რესურსს და მას ურჩია, შექმნას ახალი პოლიტიკური პარტია. რას ფიქრობთ, ღარიბაშვილი შექმნის პარტიას?

– თუ ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის სატელიტი იქნება, მას პოლიტიკური წარმატება არ ექნება და ეს პოლიტიკისთვის იქნება აბსოლუტურად გაუგებარი რამ... ირაკლი ღარიბაშვილმა ან უნდა თქვას, რომ წავიდა პრემიერობიდან, რადგან ის იყო, უბრალოდ, მენეჯერი და დამოუკიდებლად პოლიტიკის კეთების საშუალება არ ეძლეოდა, თუ იტყვის სიმართლეს, ხალხი მას გაუგებს და გაჰყვება, მაგრამ ეს სიმართლე იქნება ივანიშვილის ინტერესების საწინააღმდეგოდ და ამას ღარიბაშვილი არ გააკეთებს; მე მაინც მგონია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი გახდება ან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ან მოდის პოლიტიკაში. ის საუბრები, თითქოს მას შეავიწროებენ, საფრთხე ელოდება, მის ნათესავებს დაიჭერენ, ნაკლებ სავარაუდო მგონია, რადგან ეს არის ივანიშვილის გადასაწყვეტი და ვფიქრობ, ის ამას არ გააკეთებს...

— ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ ივანიშვილი შეშინებულია კიევის ყოფილი მერის ლეონიდ ჩერნოვეცკის პოლიტიკური აქტიურობით. „ქართული ოცნების“ ლიდერები, რომლებიც, სავარაუდოდ, საარჩევნო სიაში ვეღარ მოხვდებიან, ჩერნოვეცკისთან მისასვლელ გზებს ჩემი დახმარებით ეძებენო. ამ მხრივ, „ქართულ ოცნებაში“ რა ხდება, ხომ არ იცით?

– ქართული პოლიტიკა დაემსგავსა მე-16 საუკუნისდროინდელ სტამბულის ბაზარს, როცა ადამიანებით ვაჭრობდნენ. თუ იყიდებიან, ჩერნოვეცკის კი არა, ტერორისტებსაც შეიძლება მიეყიდონ. პოლიტიკოსები ვინც იყიდებიან, ბუნებრივია, მათში ერთ-ერთი პირველი ჩერნოვეცკი იქნება, მაგრამ არჩევნებზე რა პასუხს მიიღებენ ქართველი ხალხისგან, ამაზეც უნდა დაფიქრდნენ. მე საკმაოდ ბევრი ნაცნობ-მეგობარი მყავს მმართველ გუნდში და მართალი გითხრათ, ამ დინამიკას ვერ ვამჩნევ, რაზეც მურმან დუმბაძე საუბრობს, და მისი განცხადება ამ შემთხვევაში ცოტა არარეალური მგონია, „ქართულ ოცნებაში“ სულ საარჩევნო სიაში ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადანაწილდებიან, მაგრამ მოდით, ასე ვთქვათ, ეს პარტია მოვა კიდევ ხელისუფლებაში?! სხვათა შორის, პანიკის ერთ-ერთი საფუძველი ეგეც არის, რომ ვერ მოიგოს „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები, მერე რა გვეშველებაო... იცით, რას ამბობენ, ასეთ დაპირებებს იძლეოდა ირაკლი ღარიბაშვილი, როცა პრემიერი იყო, დეპუტატებს, სამთავრობო ისტებლიშმენტს, კონკრეტულ დაპირებებს აძლევდა, მაგრამ ღარიბაშვილი მოულოდნელად წავიდა და დაპირებებიც მოულოდნელად გაქრა, მაგრამ ახალი დაპირებები დღის წესრიგში არ დამდგარა, ახალი პრემიერის მოსვლის შემდეგ, რამაც, ბუნებრივია, ძალიან სერიოზული პანიკა გამოიწვია. მაღალი თანამდებობის პირის წასვლა, რა თქმა უნდა, გარემოებებს ცვლის და ხალხი, ვინც ამ დაპირებებზე იყო ჩამოკიდებული, დაბნეულიც კი არ არის, პანიკაში არიან. შეიძლება პირველი პირები, რასაც გეტყვით, ამას არ აღიარებენ, მაგრამ უმრავლესობის შიგნით სერიოზული განხილვებია იმის შესახებ, ვაითუ არჩევნები წავაგოთო; პარტიული არჩევნების მოგებაზე საუბარი არის ძალიან ზედმეტი, მაჟორიტარების იმედად არიან დარჩენილები, მაგრამ ეშინიათ, რომ თბილისი-ქუთაისმა გადაინაწილა საკმაოდ სერიოზული რაოდენობის მანდატები, მაგრამ არ არის გარანტიები, რომ მთავრობას ჰქონდეს კომპლექტაციის გაკეთების საშუალება პარლამენტში, რომ უმრავლესობა მოიპოვოს, ვინც რეალურად აზროვნებს, ის ამბობს, რომ 2016 წლის არჩევნები არ იქნება ისეთი, რაც იყო 2012 წელს და „ქართული ოცნება“ შესაძლოა, უმრავლესობით ვერც მოვიდეს.

როგორი ამინდია მოსალოდნელი უახლოესი დღეების განმავლობაში

არამდგრადი ამინდი კვირის ბოლომდე გაგრძელდება. სინოპტიკოსების პროგნოზით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნალექი თოვლის სახით შენარჩუნდება.

6 იანვრიდან ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონში მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი. 7-8 იანვარს ჰაერის ტემპერატურა დღისით აიწევს +15, +17 გრადუსამდე.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ნალექი, მთაში თოვლის სახით. ყინვა შესუსტდება, ღამით მოსალოდნელია -2, +3 გრადუსი, ხოლო დღისით +6, +11 გრადუსი. (პირველი რადიო)

ISIS-ის მიმდევარი 5 წლის ტერორისტი ბავშვი, რომელიც ბაბუამ ამოიცნო

ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში, სადაც ხუთი ადამიანის სიკვდილით დასჯაა ასახული, 5 წლის მოზარდიც ფიგურირებს.

ბავშვი ბრიტანული აქცენტით ISIS-ის ვიდეოში დიდ ბრიტანეთს ემუქრება. ბავშვი საკუთარმა ბაბუამ უკვე ამოიცნო და მან ჟურნალისტებთან ოჯახის შესახებ ისაუბრა.

როგორც ბრიტანული გამოცემა Daily mail წერს, ბავშვის ბაბუა 59 წლის ჰენრი დეირი ყვება, რომ მცირეწლოვანის სახელი და გვარი ისა დეირია, რომელიც სირიაში დედამ გრეის „ხადიჯა“ დეირიმ წაიყვანა. ბავშვის დედა 24 წლის გრეის დეირი სამხრეთ-დასავლეთ ლონდონში გაიზარდა და კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა, თუმცა, ბოლო წლებში ინტერნეტით ექსტრემისტების გავლენის ქვეშ მოექცა და რადიკალური ისლამის მიმდევარი გახდა.

ტელეკომპანია Channel 4-თან ინტერვიუში ბაბუა იხსენებს, რომ დედამ ბავშვი 3 წლის წინათ სირიაში წაიყვანა. მანამდე სოციალურ ქსელებში ის წერდა, რომ სურდა, პირველი ბრიტანელი ქალი ყოფილიყო, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ მძევალს მოკლავდა.

მცირეწლოვანი ბავშვის ბაბუა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ბავშვი სირიაში წაიყვანეს, მას შვილიშვილთან კონტაქტი აღარ აქვს და ექსტრემისტები ისა დეირს პროპაგანდისთვის იყენებენ.

შეგახსენებთ, ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ მორიგი ვიდეომალასა გაავრცელა, სადაც ჯიჰადისტების მიერ 5 ადამიანის სიკვდილით დასჯაა ასახული. კადრებში შეიარაღებული, ნიღბიანი ტერორისტები მათ წინაშე დაჩოქილ პირებს ინგლისის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ადანაშაულებენ და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონს ემუქრებიან. ბრიტანული მედიის თანახმად, ვიდეომასალა 10-წუთიანია და ჩანაწერში დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მოზარდი წევრიც ფიგურირებს, რომელიც ბრიტანული აქცენტით საუბრობს. ვიდეოს დასასრულს ტერორისტები მძევლებს ცეცხლსასროლი იარაღით ხოცავენ.

(metronome.ge)

უბედური შემთხვევა კასპის რაიონში — შუახნის ქალბატონი საკუთარ სახლში დაიწვა

უბედური შემთხვევა კასპის რაიონში – სოფელ ლამისყანაში გვიან ღამით გაჩენილ ხანძარს 55 წლის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ნუნუ კობაური საკუთარ სახლში დაიწვა, სადაც ის მარტო ცხოვრობდა. მთლიანად განადგურდა საცხოვრებელი.

ხანძრის გამომწვევ მიზეზებს გამოძიება სწავლობს. მეზობლების თქმით, სავარაუდოდ, სახლს ცეცხლი ღამის საათებში შეშის ღუმელიდან მოეკიდა.

(ნოუპოსტი)

აშშ და ნატო რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიას ეხმაურებიან

პენტაგონი და ნატო რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიას ეხმაურებიან, რომელსაც ვლადიმერ პუტინმა ხელი 31 დეკემბერს მოაწერა.

დოკუმენტში შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები რუსეთის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად არიან მოხსენიებული. ხოლო რუსეთის მთავარ საფრთხედ ნატო-ს გაფართოება და ალიანსის რუსეთის საზღვრებთან მიახლოება მიიჩნევა.

ნატოს პრესსპიკერის, ოანა ლუნგესკუს განცხადებით, ალიანსი კატეგორიულად უარყოფს რუსეთის სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს, რომ ნატო და მისი პოლიტიკა მოსკოვს საფრთხეს უქმნის.

რაც შეეხება აშშ-ს, გაერთიანებული შტატების უფროსის, ჯოზეფ დანფორდის შეფასებით, რუსეთი თავისი საქციელით ბირთვული და კიბერპოტენციალით საფრთხეს წარმოადგენს ვაშინგტონისთვისაც და მისი მოკავშირეებისთვისაც. (ნოუპოსტი)

ორი ყაჩაღობა ერთ დღეში — ოზურგეთში ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურები დააყაჩაღეს

ოზურგეთში ერთ დღეს ორი ყაჩაღობა მოხდა. დაყაჩაღებულია „გალფის“ ბენზინგასამართი სადგური და მასთან ახლოს მდებარე გაზგასამართი სადგური. შემთხვევა 3 იანვარს მოხდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, ორივე ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. (ნოუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

3 წელიწადში 2 საბავშვო ბაღის ამშენებელი „ოცნება“ 2020 წლამდე 36 საბავშვო ბაღს ააშენებს? რაღაც ეჭვი გვეპარება!

საბავშვო ბაღებში ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ჯგუფების ჩამოყალიბების წესს, ჯგუფში ბავშვების რაოდენობასა და აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობას კანონი დაარეგულირებს.

ამას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

მომზადებული პროექტის თანახმად, 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 25 ბავშვისა, 3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვების ჯგუფში კი – არაუმეტეს 30 ბავშვისა.

რაც შეეხება სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფს, მასში 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის – პირველ კლასში შესვლამდე ბავშვები შევლენ, რომელთა რაოდენობაც თითოეულ ჯგუფში 30 ბავშვს არ უნდა აღემატებოდეს.

პროექტით, ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია, ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან, მაგრამ არაუმეტეს 10 ბავშვის შემადგენლობით.

რაც შეეხება აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობის საკითხს, პროექტის მიხედვით, თითოეულ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის რაოდენობა შემდეგი თანაფარდობით უნდა განისაზღვროს: 2-დან 3 წლამდე ბავშვების შემთხვევაში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვთან თანაფარდობა უნდა იყოს: 1:13; 3-დან 4 წლამდე ბავშვების შემთხვევაში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვთან თანაფარდობა უნდა იყოს: 1:15; 4-დან 5 წლამდე ბავშვების შემთხვევაში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვთან თანაფარდობა უნდა იყოს: 1:15. სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვთან თანაფარდობა უნდა იყოს: 1:15.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მოწოდებული უახლესი ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით აღსაზრდელთა ჯამური რაოდენობა თბილისში 55 615 აღსაზრდელს შეადგენს, ხოლო აღნიშნული აღსაზრდელებით დაკომპლექტებული ჯგუფების რაოდენობა, შესაბამისად, 240 ჯგუფს ბაგაში და 1 175 ჯგუფს ბაღში.

– წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია ბაგა ჯგუფებში მაქსიმუმ 25 ბავშვი, ხოლო 3-დან 6 წლამდე ჯგუფებში – მაქსიმუმ 30 აღსაზრდელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ 1 415 ჯგუფში აღსაზრდელთა მაქსიმალურმა რაოდენობამ უნდა შეადგინოს 41 250 ბავშვი (240*25 + 1 175*30). დღესდღეობით აღსაზრდელების რაოდენობა თბილისის ბაგა-ბაღებში შეადგენს 55 615-ს. არსებული სხვაობის (14 365 აღსაზრდელი) დასაკმაყოფილებლად საჭიროა, აშენდეს 400 ბავშვზე გათვლილი 36 ბაღი, რაც საშუალოვადიან პერიოდში მნიშვნელოვან დანახარჯებს იწვევს. დღევანდელი მდგომარეობით, ერთი 400 ბავშვზე გათვლილი ბაღის ასაშენებლად საჭიროა საშუალოდ 2 მილიონი ლარი (თუმცა, რთული გამოსათვლელია მომდევნო წლებში ერთი 400 ბავშვზე გათვლილი სააღმზრდელო დაწესებულების აშენების ხარჯი), ანუ მთლიანობაში 36*2=72 მილიონი ლარი. აღნიშნული ხარჯი საშუალოვადიან პერიოდზე (2016-2019 წწ) უნდა გადანაწილდეს, – აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების დაკომპლექტების მაქსიმალური ოდენობების მუხლის ძალაში შესვლის თარიღად 2020 წლის 1-ლი სექტემბერია განსაზღვრული. (bpn.ge)

სულ რაღაც, 3-4 კვირის წინ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე თავს იწონებოდა, — „ქართული ოცნება“ დაპირებებს ასრულებს და აგერ, ბატონო, 2 ახალი ბაღი ავაშენეთ, კიდევ ერთი კი შენების პროცესშიაო...

ის, რომ ჯგუფები გადავსებულია და ასე კატეგორიულად არ შეიძლება, „ალია“-„ქრონიკას“ ბევრჯერ დაუწერია, ერთი შეხედვით, კანონპროექტი ურიგო არ ჩანს, მაგრამ ისევ ომარ ნიშნიანიძეს თუ მივბრუნდებით, მივხვდებით, რომ დასაწყისშივე განწირულია ეს ინიციატივა — 3 წლის მანძილზე 2 ბაღის ამშენებელი „ქართული ოცნება“, დიდი ეჭვი გვაქვს, სამწუხაროდ, 36 საბავშვო ბაღს ვერ და არ ააშენებს.

არა, იმედია, ვცდებით, მაგრამ ეს ოხერი გუმანი კარგს არაფერს გვკარნახობს. ესეც რომ არ იყოს, მეხსიერებაც გადასარევი გვაქვს და მოკლედ, ვნახოთ, დაველოდოთ და მერე ვილაპარაკოთ...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

შურისძიება სექსუალური ძალადობისთვის? — ვინ და რატომ მოკლა 64 წლის ტაქსის მძღოლი

დაახლოებთ ორი კვირის წინ, ზუგდიდის რაიონში მომხდარი საზარელი მკვლელობა წლების წინათ მომხდარი შემზარავი ფაქტის კრიმინალური გაგრძელებაა.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, 64 წლის ტაქსის მძღოლის სოსო ეხვაიას მკვლელობა ჯერ კიდევ მაშინ დაიგეგმა, როცა ამ უკანასკნელმა მკვლელობისთვის დაკავებულის და სოფელ ნარაზენში მოტყუებით წაიყვანა და გააუპატიურა.

65 წლამდე ასაკის მამაკაცის ცხედარი, მდინარის პირას, ეკალ-ბარდებში სწორედ იმ ადგილას ნახეს, სადაც, გავრცელებული ინფორმაციით, ეხვაიამ არასრულწლოვანზე ძალა იხმარა.

გარდაცვლილის კოლეგები აცხადებენ, რომ სოსო ეხვაიას სექსუალურ სკანდალზე ყურმოკვრით გაგებული ჰქონდათ, თუმცა ტაქსის მძღოლებს დანამდვილებით უჭირთ იმის თქმა, გააუპატიურა თუ არა შუახნის მამაკაცმა არასრულწლოვანი.

ადგილობრივთა მონაყოლის მიხედვით, ეხვაია დაკავებულ 19 წლის რომან რ.-ს არ მოუკლავს. „მკვლელობა საკუთარ თავზე იმიტომ აიღო, რომ მისი გასაკეთებელი სხვამ გააკეთა“.

ამ ვერსიის ავტორი ამბობს, რომ სოსო ეხვაია ზუგდიდის საკრებულოს წინ მდებარე ტაქსის გაჩერებაზე დაახლოებით 35-40 წლის ორმა მამაკაცმა 18 დეკემბრის საღამოს აიყვანა და ნარაზენის მიმართულებით წაყვანა სთხოვა.

წყაროს თქმით, 19 წლის რომანს სოსო ეხვაია ამ ცნობილი სკანდალის გამო არც გაჰყვებოდა, რადგან მომხდარის გამო უთანხმოება ადრეც ჰქონიათ.

– დაზარალებულის ოჯახი ტაქსის მძღოლს მაშინ ფიზიკურად გაუსწორდა, თუმცა საქმე პოლიციამდე არ მისულა, – ამბობს წყარო.

დაკავებულის ახლობლებთან შეხვედრას შევეცადეთ, თუმცა ისინი კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ.

საუბარი არ სურთ ეხვაიებსაც. თუმცა მისი ოჯახის ახლობლები მსგავს შემთხვევას კატეგორიულად გამორიცხავენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კი გამოძიების დეტალებზე არ საუბრობს. რაც შეეხება გოგონას გაუპატიურების ფაქტს, როგორც სამინისტროში აცხადებენ, ტაქსის მძღოლის მიერ არასრულწლოვნის გაუპატიურების შესახებ მათთან განცხადება არ შესულა.

რაც შეეხება უშუალოდ მძღოლის მკვლელობას, მათი თქმით, გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით).

ოფიციალური ინფორმაციით, შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ტაქსის მძღოლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი 25 დეკემბერს დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 18 დეკემბერს, ტაქსის მძღოლს, 1951 წელს დაბადებულ სოსო ე.-ს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბლაგვი საგნით თავის არეში დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

შს სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

შეგახსენებთ, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში 64 წლის მოკლული ტაქსის მძღოლი 20 დეკემბერს ადგილობრივმა პირმა იპოვა. თვითმხილველის განცხადებით, გვამი ეკალ-ბარდებში იყო ჩაფლული. (ნოუპოსტი)

2016 წლიდან ძალაში შესული კანონები

რა აკრძალვები და შეღავათები დაუწესდათ მოქალაქეებს

თუ თქვენ გაქვთ საბანკო დავალიანება, ხართ „გაშავებული“, ან ვინმეს ეჭვი შეეპარა რამეში, ვერ განახორციელებთ ვერანაირ გადარიცხვა-გადმორიცხვას, დავალიანების შემთხვევაში ეგრევე ჩამოგეჭრებათ. აღარაფერს ვამბობ სათანადო ორგანოების მხრიდან დაინტერესებას. სხვათა შორის, ახალი წლის წინა დღეებში მრავლად შეხვდებოდით ბანკებში ადამიანებს, რომლებიც იხვეწებოდნენ, ფული გადაგვაგზავნინეთ, ჩვენ „გაშავებულები“ ვართ, ფულს წაგვართმევენო. ასე რომ, ამ სფეროში საიდუმლო აღარაფერია, ყველამ ყველაფერი იცის.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მომზადდა 850 კანონპროექტი. აქედან დაახლოებით 40 პროცენტი იქცა კანონად, დანარჩენი კი ან პირველ-მეორე მოსმენის დონეზეა, ან განხილულია კომიტეტებში და გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ბუნებრივია, ამჯერად ყველა კანონზე ყურადღებას ვერ გავამახვილებთ, მაგრამ თუ გადავხედავთ, რა მიიღეს, რა არ მიიღეს და რა „დაიკიდეს“, იოლად მივხვდებით, როგორ იმუშავეს. სანამ ახალ კანონებსა თუ საკანონმდებლო ცვლილებებზე გადავალ, ერთი ანეკდოტური ამბავი უნდა გაუწყოთ: 2015 წლის იანვარში, ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ე.წ. დამოუკიდებელმა დეპუტატებმა მოითხოვეს, პარლამენტში შექმნილიყო იური და ზურა ვაზაგაშვილების, ბარბარე რაფალიანცის, გოგი თათუხაშვილის, ეროსი კინწმარიშვილის და აჩიკო მაისურაძის შეკვეთილი მკვლელობების ფაქტების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია. ეტყობა, „ნაციონალები“ ნაახალწლევს მაგარ „პახმელიაზე“ იყვნენ, თორემ მათ მიერვე ჩაცხრილული ზურა ვაზაგაშვილის გამო მაინც არ მოითხოვდნენ საგამოძიებო კომისიის შექმნას. აღარაფერს ვამბობ ზურაბ ჟვანიაზე, სანდრო გირგვლიანსა და ბუტა რობაქიძეზე, რომლებიც საერთოდ არ გახსენებიათ.

ახლა კი გადავიდეთ კანონშემოქმედებაზე: 2015 წლის იანვარში „საგზაო მოძრაობის შესახებ კანონში“ პრეზიდენტ მარგველაშვილის ინიციატივით შევიდა ცვლილება, რათა ავტომობილებისთვის გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება (ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ტექდათვალიერების შემოღების გადავადება) გადაწეულიყო 2017 წლის 31 დეკემბრამდე. სხვათა შორის, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2015 წლის ბოლოს მოძრაობის წესების ახალი რეგულაციები წარმოგვიდგინა, ბევრმა ვერ გაიგო, რას ნიშნავს „გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება“ და იყო ერთი გადაძახილ-გადმოძახილი და შაყირი. მერე აუხსნეს, რომ ეს იყო ტექდათვალიერება, რომელიც ძალაში შევა 2018 წლიდან. სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გეტყვით: ამ დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს ახალი რეგულაციები (მათ შორის, მართვის მოწმობაზე 100 ქულა) ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი იანვრიდან. ეს გახლავთ უვიცობით აგორებული სიცრუე, ვერც ერთი რეგულაცია ვერ შევა ძალაში, სანამ პარლამენტი არ განიხილავს და არ მისცემს კანონის ძალას.

გასული წლის თებერვალში პარლამენტმა მიიღო ასევე „ისტორიული“ გადაწყვეტილება, „ნარჩენების მართვის კანონში“, ერეკლე ტრიპოლსკისა და გია ჟორჟოლიანის ინიციატივით, შევიდა ცვლილებები და ნარჩენების (გამონაბოლქვი, ნაგავი, დაბინძურებული ნიადაგი, ფეკალური მასები, მავნე ნივთიერებები) მართვის უფლება რეგიონებში გადაეცათ ადგილობრივ თვითმართველობებს. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ.

ჯერ კიდევ თებერვალში უნდა მიგვეღო კანონი უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო და მერე ყველას დაავიწყდა. როგორც „ნაციონალი“ გიორგი კანდელაკი წერს პროექტის განმარტებით ბარათში, აბსოლუტურად გაუაზრებლად ძალიან ბევრ ქვეყანასთან გამკაცრდა სავიზო რეჟიმი, რამაც ქვეყანას მიაყენა ზიანი, ნეგატიური გავლენა იქონია ტურისტების ნაკადზე და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე. კანდელაკი მას შემდეგ „დადარდიანდა“, რაც საეჭვო რეპუტაციის სახელმწიფოების წარმომადგენლების მიმართ გამკაცრდა სავიზო რეჟიმი, თორემ ჩვენი კარი რომ ყველასთვის ღიაა, ეს ბავშვმაც კი იცის. მით უმეტეს, ახლა, როცა ევროკავშირი გველაპარაკება ვიზალიბერალიზაციაზე.

აშკარად „რევოლუციური“ ცვლილებები შევიდა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში. კერძოდ, ჩვენ, გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს, ოფიციალურად ჩაგვიწერეს და განგვიმარტეს, ვინ ითვლება დღეს ამ ქვეყანაში თანამდებობის პირად. ნუსხაში არირანაირად იქნება დამოუკიდებელ-მიუკერძოებელი?!

2015 წლის მარტში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა, რამაც ძირეულად შეცვალა ფულადი გზავნილის დეფინიცია. 43-ე მუხლში დაკონკრეტდა, ვის შეიძლება მიეწოდოს მომხმარებლის ფულადი სახსრებისა და ელექტრონული ფულისა და მის მიერ განხორციელებული ოპერაციების (მათ შორის, ოპერაციის განხორციელების მცდელობის) შესახებ ინფორმაცია. შეიძლება არ იცით, ან ყურადღებას არ აქცევთ, მაგრამ უკვე მიღებული კანონის თანახმად, თქვენი ფულადი გზავნილების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოგეწოდოთ თქვენ და თქვენსავე უფლებამოსილ წარმომადგენელს, შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეებს. ასევე, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეწოდებათ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ თქვენ გაქვთ საბანკო დავალიანება, ხართ „გაშავებული“, ან ვინმეს ეჭვი შეეპარა რამეში, ვერ განახორციელებთ ვერანაირ გადარიცხვა-გადმორიცხვას, დავალიანების შემთხვევაში ეგრევე ჩამოგეჭრებათ. აღარაფერს ვამბობ სათანადო ორგანოების მხრიდან დაინტერესებას. სხვათა შორის, ახალი წლის წინა დღეებში მრავლად შეხვდებოდით ბანკებში ადამიანებს, რომლებიც იხვეწებოდნენ, ფული გადაგვაგზავნინეთ, ჩვენ „გაშავებულები“ ვართ, ფულს წაგვართმევენო. ასე რომ, ამ სფეროში საიდუმლო აღარაფერია, ყველამ ყველაფერი იცის.

ასევე, დიდი ხმაური და სჯა-ბაასი მოჰყვა პროკურატურის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელმაც ხელისუფლებას მისცა საშუალება, იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის ხელით (დემოკრატიული ინილობინილოს ფონზე) დაენიშნა მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე. პრინციპში, ჩვენ გაცილებით ადრე ვწერდით, რომ შოთაძე დაინიშნებოდა და აზრი აღარ ჰქონდა თამაშს, მაგრამ ფორმალურად წესები მაინც დაიცვეს. მაშინ ბევრი ნერვიულობდა, მიუხედავად კანონში განხორციელებული ცვლილებებისა, დასახული მიზანი – მოხდეს პროკურატურის სისტემის დეპოლიტიზება, შეუძლებელიაო. ამ კანონს მოჰყვა საპროკურორო საბჭოს შექმნა, საეჭვო წარსულის მქონე პროკურორების დაწინაურება, ამ საბჭოს ხელმძღვანელად თეა წულუკიანის დასახელება და ასე შემდეგ. რაკი წულუკიანი ვახსენეთ, აქვე უნდა ვთქვათ იმ კანონის შესახებ, რომელიც მისი ინიციატივით მიიღო პარლამენტმა და დაგვავალდებულა, იარაღი დაშლილ მდგომარეობაში შევინახოთ სახლში, თან ისეთ ადგილზე, რომ შეიძლება თავადაც ვეღარ ვიპოვოთ, როცა ყაჩაღები დაგვადგებიან თავზე. ყოველ შემთხვევაში, ღმერთმა დაგვიფაროს და... თავდასხმის დროს უნდა ვთხოვოთ, ცოტა ხნით კართან მოიცადონ, სანამ იარაღს ავაწყობთ. დიდი სკანდალი იყო იმ კანონთან დაკავშირებით, ამა თუ იმ საქმის მოწმე პოლიციაში დაიკითხებოდა თუ პირდაპირ სასამართლოში. საბოლოოდ გადაწყდა, რომ მოწმე კი დაიკითხება სასამართლოში, მაგრამ პოლიციელს, გამომძიებელს უფლება ეძლევა, დაკითხვას დაარქვას გასაუბრება და სასამართლო პროცესამდე შეხვდეს მას.

გასულ წელს რამდენიმე თვის განმავლობაში ვიმსჯელეთ და მივიღეთ კანონი მთის შესახებ. იყო საუბარი სუნთქვის საშუალებაა, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა იმის წინაპირობას, რომ ქალაქებიდან ხალხი მთისკენ დაიძვრება. თუ არ შემუშავდა რაღაც ჭკვიანური სისტემა, მარტო თანხების გამოყოფა და ქაოსურად ხარჯვა არაფერს მოიტანს. ახლანდელებს „ეუხერხულებათ“, თორემ კომუნისტებს ამ მხრივ საკმაო გამოცდილება აქვთ, რაც მთლად ცუდი არ იყო, დღეს ბევრი სოფელი სწორედ მათი აშენებულია, ასეთს სადღაც 1500-მდე ითვლიან.

რაც მთავარია, პარლამენტმა არ და ვერ მიიღო არავითარი კანონი, რაც ცხოვრებას ოდნავ მაინც გაგვიიოლებდა. მაგალითად, დაგვიწესებდა საგადასახადო შეღავათებს, მცირედით მაინც შეგვიმცირებდა თუნდაც საშემოსავლო გადასახადს. ის კი არა, დიდი ბრძოლების შემდეგ ეროვნული ბანკიდან ვერ „გამოიყვანეს“ ბანკების ზედამხედველობის სამსახური. ამ შემთხვევაშიც კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა პარლამენტი – სამსახურიც შექმნეს, უფროს-უმცროსებიც დანიშნეს, მაგრამ „ნაციონალების“ საკონსტიტუციო სასამართლომ მიღებული კანონი თავზე დაახია ყველას. რაღა დაგმალოთ და კურიოზები თუ ანეკდოტური სიტუაციები მრავლადაა ჩვენი „რჩეულების“ მიერ მიღებულ კანონებში, რაც ნამდვილად ვერ ჩაეტევა ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში. ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ თემის გაგრძელება „კვირის ქრონიკის“ ორშაბათის ნომერში შემოგთავაზოთ. ერთი რამ აშკარაა, რაც ხდება ქვეყანაში, ის ხდება კანონებში, რაც ხდება კანონებში, ის ხდება ქვეყანაში და როგორი „ნიჭიერი“ დეპუტატებიც გვყვანან, ისე ვცხოვრობთ ჩვენც.

რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) ხელმძღვანელი გარდაიცვალა

კრემლის ოფიციალურ გვერდზე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის სამძიმრის წერილი გამოქვეყნდა, რომელიც წუხილს გამოთქვამს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის, იგორ სერგუნის გარდაცვალების გამო.

– კოლეგები და ხელქვეითები მას იცნობდნენ, როგორც ნამდვილ მებრძოლ ოფიცერს, როგორც გამოცდილ და კომპეტენტურ ხელმძღვანელს. ის იყო დიდი სიმამაცის ნამდვილი პატრიოტი. მას პატივს სცემდნენ მტკიცე ხასიათის, წესიერებისა და პატიოსნების გამო, – ნათქვამია სამძიმრის წერილში.

პუტინი აღნიშნავს, რომ სერგუნმა მთელი ცხოვრება სამშობლოსა და შეიარაღებული ძალების სამსახურს შესწირა. (ipress.ge)

სამეგრელო-ზემო სვანეთში დიდთოვლობასთან დაკავშირებით ცხელი ხაზი ამოქმედდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია გზებზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

დიდთოვლობის გამო, ამ დრომდე ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ30-კმ70 (ჯვარი-ხაიში) მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გუბერნატორის დავალებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. შტაბს კოორდინაცია აქვს, როგორც მუნიციპალურ შტაბებთან, ასევე, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და „სოკარ გაზის“ შტაბებთან. სამხარეო ადმინისტრაციაში მოქმედებს რეგიონალური ცხელი ხაზი.

დიდთოვლობასთან დაკავშირებით შექმნილი ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ცხელ ხაზს:

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური შტაბი: 591 41 77 18;

ფოთის შტაბი: 0493 22 12 95,591410326; აბაშის შტაბი: 599 855766; სენაკის შტაბი: 599 85 75 90; 591 90 20 90;

ქალაქ ზუგდიდის შტაბი: 591 44 53 12; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შტაბი: 0415 25 01 23;

წალენჯიხის შტაბი: 599 87 66 88; 599 85 85 77 77;

მესტიის შტაბი: 577 92 06 00;

ჩხორონყუს შტაბი: 599 85 66 07;

ხობის შტაბი: 599856063;

მარტვილის შტაბი: 577954849. (bpn.ge)

„ტელეგრაფმა“ ნინო ანანიაშვილი ყველა დროის 12 საუკეთესო ბალერინას შორის დაასახელა

ბრიტანული გამოცემა „ტელეგრაფის“ კულტურის მიმოხილვაში „ყველა დროის 12 საუკეთესო ბალერინას“ შორის, მსოფლიოში აღიარებულ ბალეტის ლეგენდებთან ერთად გამოცემამ ქართველი ნინო ანანიაშვილიც დაასახელა.

– უკვე წლის ბოლოს პარლამენტის ახალ შემადგენლობას მოუწევს იმ სამი წევრის დამტკიცება. როგორი პოლიტიკური კონიუნქტურა იქნება, ვინ იქნება ამ დროს საპარლამენტო უმრავლესობაში და რა როგორ იქნება, ეს ცალკე თემაა, – განაცხადა კეპულაძემ. (ინტერპრესნიუსი)

ლაურა აბრამია
591 97-67-09

მილები რომ არ გაიყინოს, წყალი მოშვებული დატოვეთ — ვის შეეხება შეღავათი ზედმეტი წყლის დახარჯვის გამო და ვის — არა

ჰაერის ტემპერატურის დაცემასთან დაკავშირებით კომპანიებმა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“, „რუსთავის წყალმა“ და „მცხეთის წყალმა“ მოსახლეობას სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდეს. კერძოდ, წყლის მილების მოყინვის თავიდან ასაცილებლად ონკანების მცირე ჭავლით მოშვებულად დატოვებას ურჩევენ და ასევე, მოსახლეობას ჰპირდებიან, რომ აღნიშნული მიზნით დახარჯული წყლის საფასურის ანაზღაურებას თვითონ მოახდენენ.

ბუნებრივია, მოსახლეობის დიდ ნაწილს დააინტერესებს, როგორ მოხდება იმის რეგულირება, რა რაოდენობის წყალი დაიხარჯება, თუკი ისინი წყლის ჭავლის მცირედ მოშვების ხერხს მიმართავენ მილების გაყინვისგან უწყლოდ დარჩენის შიშით, ან როგორ გადანაწილდება და დაითვლება ეს დანახარჯი.

„ალია“ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კომერციულ დირექტორს ირაკლი ბაბუხადიას ესაუბრა:

— მოსახლეობის რა კატეგორიას ეხება ეს გაფრთხილება? ინფორმაციაში მითითებულია გამრიცხველიანებული აბონენტები და დანარჩენებმა რა უნდა მოიმოქმედონ?

– დიახ, როგორც იცით, საქართველოში ტემპერატურა საგრძნობლად დაეცა და ჩვენმა კომპანიამ მოსახლეობის ნაწილი გააფრთხილა, რომ შეიძლება წყლის მილები გაიყინოს და ამიტომ წყლის მცირე რაოდენობით მოშვებულად დატოვება ურჩია. არ გვგონია, ამ მხრივ რეალური გართულებები იყოს მოსალოდნელი. ამ ეტაპზე თბილისის ზედა ზონებია რისკის ქვეშ. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალურად გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო აბონენტების აღრიცხვის კვანძი არის გაყინვის რისკის მატარებელი, ეს გაფრთხილება სწორედ მათ ეხებათ ძირითადად.

— რაც შეეხება მოსახლეობის ნაწილს, ვინც სულადობით იხდის, მაგრამ შეიძლება წყლის მილი გაეყინოთ, ეს კატეგორია ჩვეულებრივ გადაიხდის დანახარჯის მიუხედავად?

– საჭიროება და საშიშროება ამ ეტაპზე არ არსებობს, მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდება, რა თქმა უნდა, ისინი ჩვეულებრივ სულადობის მიხედვით გადაიხდიან, სულადობით ვისაც ერიცხება წყალი, მათ გარეთ გამოტანილი წყლის აღრიცხვის კვანძი არ გააჩნიათ. სულადობის მიხედვით დარიცხვა ნიშნავს სულადობით დარიცხვას და არა მოხმარების მიხედვით, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ წყალი მცირედ მოშვებული დატოვონ და ამის გამო ზედმეტი არაფერი დაერიცხებათ.

— რაც შეეხება კერძო ორგანიზაციებს, მათ, როგორც ცნობილია, განსხვავებული ტარიფები აქვთ. მათაც ეხებათ ეს შეღავათი, თუ ისინი დანახარჯის მიხედვით გადაიხდიან, თუკი წყლის ჭავლის მცირედ გახსნა მოუწევთ?

– ტარიფი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, თუმცა ჩვენ ესეც გავთვალეთ და სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ არასაყოფაცხოვრებო აბონენტების აღრიცხვის კვანძის გაყინვის ალბათობა მისი მოწყობის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაკლებსავარაუდოა, ამიტომ ზემოაღნიშნული განცხადება გავრცელდა მხოლოდ საყოფაცხოვრებო აბონენტებისთვის. მიუხედავად ამისა, მოგეხსენებათ, კომპანიის ცხელი ხაზი 24 საათის განმავლობაში მუშაობს და კომპანია განიხილავს ყველა შემოსულ განცხადებას ჩვენი აბონენტების მხრიდან.

— დამატებით ხომ არ გეგმავთ რაიმე პრევენციას ახალი პრობლემების წარმოშობის თავიდან ასაცილებლად?

– თუ უახლოეს პროგნოზს დავეყრდნობით, ყინვები არ არის მოსალოდნელი. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით არანაირი დამატებითი რეკომენდაციები მოსახლეობის მიმართ არ გვაქვს, მაგრამ გართულების შემთხვევაში აუცილებლად შევიმუშავებთ და განვახორციელებთ საჭირო ღონისძიებებს.

საუბრის დასრულების შემდეგ რამდენჯერმე ვცადეთ კომპანიის ცხელ ხაზზე — 293 11 11 დარეკვა, მაგრამ უშედეგოდ, ამ ხაზზე მუდმივი დაკავებაა, ამიტომ იმედია, თბილისის მოსახლეობას წყალთან დაკავშირებული პრობლემა ყინვების გამო რეალურად არ შეექმნება, თორემ, დიდი ალბათობით, დაუყოვნებლივ არავინ გადაუჭრით ამ პრობლემას.

„პატრიარქი გაიყინა...“ — რატი ამაღლობელის ლექსს „ფეისბუკზე“ რეზონანსი მოჰყვა

პოეტ რატი ამაღლობელის მიერ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე განთავსებულ ლექსს „პიეტა მიწისქვეშა გადასასვლელში“ სოციალური ქსელის მომხმარებლებში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ლექსი ასე ჟღერს:

„პატრიარქი გაიყინა,
საკუთარ დაბადების
დღეზე გაიყინა,
83 წლის მოხუცი პატრიარქი
მეტროს ჩასასვლელში,
მიწისქვეშა გადასასვლელ-
ში
გაიყინა.
დიახაც, მე მიყვარს პატრიარქი
ჩემი გაყინული პატრიარქი,
მიწისქვეშეთის მისადგომებთან
წაქცეული.
უცხო, უცნობი, განდევნილი,
როგორც პირველი ქრისტიანი,
მე მიყვარს პატრიარქი
მეტროს ჩასასვლელში გაყინული.
მას არავინ მიულოცავს
დაბადების დღეს,
არავინ უმღერებს ოდებს.
დაე, დატირება, ეს მცირე დატირება
წაგყვეს უწმინდესო იქ,
სადაც მართალნი განისვენებენ...“

პოეტი ლექსით, როგორც ჩანს, მეტრო „დელისთან“ მიწისქვეშა გადასასვლელში მამაკაცის გარდაცვალებას გამოეხმაურა. 67 წლის მამაკაცის დაღუპვის შესახებ ინფორმაცია 4 იანვარს, პატრიარქის დაბადების დღეს გავრცელდა. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მამაკაცი უსახლკარო იყო და სიცივისგან გაიყინა, თუმცა შსს-მ დაადასტურა, რომ გარდაცვლილს ჰყავს ოჯახი, ის არც უსახლკარო ყოფილა და მის სიკვდილს ოჯახის წევრები გულის პრობლემებს უკავშირებენ.

რატი ამაღლობელის ლექსს „ფეისბუკზე“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კომენტარებში ნაწილი ავტორს პათოსს უწონებს, ნაწილიც უწუნებს. „ის რომ ჩვენ გვერდით მიუსაფარი ხალხი სიცივისგან და შიმშილისგან იღუპება, ყველაზე ნაკლებად ჩვენი 83 წლის პატრიარქის ბრალია, რომელიც უამრავ გაჭირვებულს მფარველობს სულიერად და მატერიალურად. მე რომ დამეწერა ეს ლექსი... უბრალოდ იმას გავიხსენებდი, როგორ ჩამივლია ცხელი ყავით ხელში ჩემი ქალაქის ქუჩებში ისე, რომ არც კი შემინიშნავს იქ გათოშილი მოხუცი და თუ მაინდამაინც სადმე გამჩხერია თვალებში, ჩამიყრია ხურდა ფული და სინდისდამშვიდებულს გამიგრძელებია გზა“, – წერს კომენტარში ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი, რომელსაც იქვე პასუხობს თავად ავტორი: „ცნობისთვის მხოლოდ: ხელს არავისკენ ვიშვერ საერთოდ, განსაკუთრებით პოეტურ ტექსტებში, არც აქ, თუ მაინცდამაინც – საკუთარი თავისკენ, იქ მყოფი რაღაცებისკენ, ან ვიღაცებისკენ“.

მოგვიანებით, პოეტს კიდევ ერთი განმარტების გაკეთება მოუხდა საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდზე: „ლექსია, ხალხო, ლექსი. შეიძლება ცუდი, დასაგმობი, მაგრამ არამც და არამც „ზუსტი“ ინფორმაცია“. (ამბები.ge)

აი, „ალია“ რომ ამბობს, მხოლოდ ფულიანი მძღოლებიღა შეძლებენ მანქანების მართვას, სწყინს ზოგ-ზოგიერთს!!!

პირს, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებას ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მართავს, შესაძლებლობა ექნება, უფლებამოსილ ორგანოს, მართვის უფლების შეჩერება 700-ლარიანი ჯარიმით შეცვლის მოთხოვნით მიმართოს.

მან ამ მოთხოვნით სამართალდარღვევის ჩადენიდან არაუგვიანეს 3 თვისა უნდა მიმართოს.

აღნიშნულს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტშია ინიცირებული.

თუმცა, კანონპროექტის თანახმად, ეს ცვლილება 18 წლამდე პირებზე არ გავრცელდება და ამ სამართალდარღვევის გამო მას 1 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეუჩერდება. (იპრესს.ge)

თელავში მოკლული ორი პოლიციელი დაკრძალეს

გარდაცვლილები თელავის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრიდან გამოასვენეს, სადაც სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. ცერემონიას პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მოქმედი და ყოფილი შს მინისტრები – გიორგი მღებრიშვილი და ალექსანდრე ჭიკაიძე, სუს-ის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური, სასჯელაღსრულების მინისტრი კახი კახიშვილი, ასევე დეპუტატები დაესწრნენ.

გელა ლამაზოშვილი და მაია ჯავახიშვილი თელავში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს შენობის ეზოში 30 დეკემბერს მოკლეს. ბრალდებული სანდრო მ. სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მცდელობისას, მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. (ინტერპრესნიუსი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

აი, რისთვის უყიდია მერიას კუბოები...

უსახლკაროები ნარმანიას აშენებულ თავშესაფარში არ შეუშვეს და გარდაიცვალნენ

რამდენიმე დღეა, რაც საქართველოში ყინვები დაიწყო და იმ უსახლკაროების სიცოცხლე, რომლებსაც არც თავშესაფარი აქვთ და არც ნათესავები სწყალობენ, საფრთხის ქვეშ დადგა. სულ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეტროსადგურ „დელისთან“ ხანშიშესული მამაკაცის ცხედარი იპოვეს, რომელიც, სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, გაყინვის შედეგად გარდაიცვალა და, რომ გარდაცვლილი მამაკაცი უსახლკარო იყო. თუმცა მალევე გაირკვა, რომ აღნიშნული პიროვნება არც უსახლკარო იყო და არც გაყინულა – ოფიციალური ცნობით, ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

საინტერესოა, რამდენად მობილიზებული შეხვდა დედაქალაქის მერია და საერთოდ, მთავრობა ზამთრის გაუსაძლის ყინვებს? რა ღონისძიებებია გატარებული უსახლკაროების სიცოცხლის დასაცავად და ზოგადად, როგორია გაყინული ადამიანების სტაციონარში გადაყვანისა თუ გარდაცვალების შემთხვევების ბოლო პერიოდის სტატისტიკა?

სანამ ამ კითხვებზე კონკრეტული სამსახურების პასუხს შემოგთავაზებდეთ, მანამდე, ობიექტურობისთვის უნდა გავიხსენოთ, რომ 2013 წლის დეკემბერში თბილისის მერიამ დედაქალაქში ე.წ. კარვების ქალაქი სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირზე გააშენა, სადაც მიუსაფარ ადამიანებს ყოველდღიური ცხოვრების საშუალება ჰქონდათ. 22 კარავში (თითოეული კარავი 10 ადამიანზე იყო გათვლილი) ბოლო პერიოდში, დაახლოებით, 170 ადამიანი ცხოვრობდა, რომლებიც უზრუნველყოფილნი იყვნენ საკვებით, ტერიტორიაზე მუდმივად მორიგეობდა „სასწრაფოსა“ და საპატრულო სამსახურის თითო-თითო ეკიპაჟი. ასევე, იქვე იყო გახსნილი „კათარზისის“ მობილური ოფისი, რომელიც ბინადრებს ნაწილობრივ საკვებით, ასევე, სარეცხი და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფდა. კარვების ფუნქციონირებას კი უწყებათაშორისი კომისია უზრუნველყოფდა.

ოფიციალური ინფორმაციით, 2015 წლის 15 დეკემბრიდან, „კარვების ქალაქის“ ბინადრები მერიამ ლილოს დასახლებაში, სპეციალურად უსახლკაროებისთვის აშენებულ კორპუსში გადაიყვანა. მერიის ოფიციალურ განცხადებას აქვე გთავაზობთ:

„2015 წლის დეკემბრიდან ლილოს დასახლებაში ფუნქციონირებს ახალი კაპიტალურად აშენებული თავშესაფარი, რომელსაც ერთდროულად 240 ბენეფიციარის მომსახურების საშუალება აქვს. ბენეფიციარები 24-საათიან რეჟიმში იღებენ პირველად ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას და პირველად მედიკამენტებს, მათ ემსახურება 5 სოციალური მუშაკი, ასევე, საჭიროების მიხედვით ფსიქოლოგი. შენობას აქვს უსაფრთხოების სამსახური. თავშესაფარში ცალ-ცალკე ოთახებია გამოყოფილი ქალებისთვის და მამაკაცებისთვის. თითო ოთახში ათი ბენეფიციარია განთავსებული, სადაც მათთვის ხუთი 2-სართულიანი საწოლი დგას. მათთვის გათვალისწინებულია პირადი მოხმარების ნივთები და ჰიგიენური საშუალებები. თავშესაფარი აღჭურვილია სასადილო, სააბაზანო, სამრეცხაო და საშრობი ბლოკებით. ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან ორჯერადი სრულფასოვანი კვებით, დღიური კალორაჟით 2 800 კკალორია. აღსანიშნავია, რომ მიუსაფარი მოქალაქეები თავშესაფარში მათივე მომართვის საფუძველზე, ან პატრულის დახმარებით ხვდებიან. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მათი ნების საწინააღმდეგოდ თავშესაფარში მიუსაფართა გადაყვანა დაუშვებელია. მოქალაქე თავშესაფარში მოსახვედრად უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა კრიტერიუმს – უნდა შეეძლოს თავის მოვლა, არ უნდა ჰქონდეს გადამდები დაავადება, უნდა იყოს თბილისში რეგისტრირებული და უსახლკარო. თუმცა, რთული მეტეოროლოგიური პირობებისა და ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის გამო, თბილისის მერია მზადყოფნას გამოთქვამს, თავშესაფრის დროებითი მომსახურება შესთავაზოს თითოეულ მიუსაფარ მოქალაქეს, რომელთა სიცოცხლესაც შესაძლოა, შეექმნას საფრთხე. 2016 წლის 1-ელ იანვარს თავშესაფარში განხორციელდა რამდენიმე ბენეფიციარის მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 3 იანვარს მერიის თანამშრომლებს, რომლებიც შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ადგილზე მივიდნენ სამ მოქალაქესთან, მათ თავშესაფარში გადასვლაზე უარი განუცხადეს. ამიტომ, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ პირის თავშესაფარში გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ მისი ნების საფუძველზე“.

„ალია“ ეცადა, გაერკვია, როგორია საპატრულო სამსახურის მიერ უსახლკაროების თავშესაფარში გადაყვანისა და ზოგადად, უსახლკაროების მიმართვიანობის სტატისტიკა? უწყებაში განგვიცხადეს, რომ კითხვები წერილობით გადაგვეგზავნა, რის შემდეგაც შესაბამის სტატისტიკას მოგვაწვდიდნენ... როცა სულ ორიოდე კითხვა გვაქვს, რა უბედურებაა, ეს კითხვა-პასუხის გადაგზავნა-გადმოგზავნა? მით უმეტეს, რომ „ალია“ ყოველდღიურია და მასალის გასაკეთებლად პასუხს დროულად არსად გაწვდიან, იშვიათი გამონაკლისების გარდა!

ამიტომ გადავწყვიტეთ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში მაინც გაგვერკვია, რამდენი ადამიანის გაყინვისა თუ გადაციების შემთხვევაა დაფიქსირებული ყინვების დაწყებიდან დღემდე? როგორია 2015 წლის იგივე სტატისტიკა?

საპატრულოსგან განსხვავებით, სამედიცინო ბრიგადების მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ლევან შავიძემ ყველა ჩვენს კითხვას უპასუხა:

– რაც ყინვები დაიწყო, ჯერჯერობით გაყინული ადამიანები „სასწრაფოს“ არ გადაუყვანია, არ გვყოლია. წინა წლის სტატისტიკას რაც შეეხება, მოყინული ადამიანების ძალიან ცოტა შემთხვევა იყო, ალბათ, სულ 2-3 კაცი, ანუ ისეთი სერიოზული შემთხვევები არ ყოფილა, რომ შემდეგ ტრაგიკულად დამთავრებულიყო. საბედნიეროდ, მაგ მხრივ, ყველაფერი ნორმალურად არის. ჩვენ ე.წ. ქუჩის მისამართებს ვეძახით მაგათ, თუ პირი სასტაციონარე არის, გადაგვყავს სტაციონარში, თუ არადა, პატრულთან ერთად თავშესაფარში გადაგვყავს, მათ უყურადღებოდ არ ვტოვებთ.

— მასეთი შემთხვევებისთვის რომელიმე კონკრეტული სტაციონარი არის გათვალისწინებული?

– ტერიტორიულად ხდება გადაყვანა, ანუ სადაც ასეთი პირი არის, იქვე ახლომახლო. უბრალოდ, თუ მას სამედიცინო დახმარება სჭირდება, მაშინ კლინიკაში გადავიყვანთ, თუ არადა, უმეტეს შემთხვევაში, თავშესაფარში მიგვყავს, საიდანაც მერე ისევ გამორბიან ხოლმე. საავადმყოფოშიც როცა მივიყვანთ, ორი საათი ჩერდებიან და მერე იქიდანაც გარბიან.

— როდესაც ქუჩაში გათოშილი, გადაციებული პირი სტაციონარში გადაგყავთ, მის მკურნალობას ვინ აფინანსებს და რა პერიოდის განმავლობაში?

– სახელმწიფო აფინანსებს მანამ, სანამ არ გამოჯანმრთელდება. ყველა ჯერზე სახელმწიფო აფინანსებს, კლინიკა ისე არ მიიღებს, მერიასაც რაღაც რესურსი აქვს მაგაზე ყოველთვის გამოყოფილი და მაგ მხრივ, პაციენტის მიღებაზე და მის მკურნალობაზე პრობლემა არ არის.

სტატია უკვე მზად იყო, როდესაც „რუსთავი 2“-ის ეთერით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყოფილი კარვების თავშესაფარში, სადაც ტელეკომპანიის ცნობით, ექვსი ადამიანი ჯერ კიდევ ცხოვრობდა, ორი ბინადარი გარდაიცვალა. „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ლილოში აშენებულ კორპუსში კარვებში მყოფი ადამიანების მხოლოდ ნაწილი გადაიყვანეს, დანარჩენებს კი, შინაგანაწესის დარღვევის გამო, შენობა დაატოვებინეს, ამიტომ მიუსაფართა ერთი ჯგუფი ღია ცის ქვეშ რჩება.

კარვების ქალაქის ცარიელ და ნაგვით სავსე ტერიტორიაზე დარჩენილი ორი ბინადარი ამბობდა, რომ ბოლო სამი დღის განმავლობაში, ორი ადამიანი გარდაიცვალა, ერთ-ერთი კი გაიყინაო. ერთი ბინადარი ამბობდა — მე ვიყავი იმ შენობაში, მაგრამ გამომაგდეს, იმიტომ, რომ სიტყვერად, ადამიანურად ვესაუბრე იქ, ვუხსნიდი, ვმუშაობ-თქო და აქ 11 საათის მერე რატომ მიკრძალავ მოსვლას, არ შემოხვიდეო და წინააღმდეგობა გამიწიეს.

მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, გარდაცვლილებიდან ბენეფიციართა სიაში მხოლოდ ერთი იყო, რომელმაც თავშესაფარში გადასვლაზე უარი თქვა და ადგილზე საკუთარი სურვილით დარჩა.

ახალაშენებულ შენობაში, ამ ეტაპზე, 150 ადამიანი ცხოვრობს.

P.S. როგორც ჩანს, მერიამ უსახლკაროებზე იმით იზრუნა, რომ 1714 კუბო შეიძინა, სიცოცხლეში არ (თუ ვერ) ვზრუნავთ უსახლკარო ადამიანების ბედზე და გარდაცვალების შემდეგ, მიწას მაინც მივაბარებთო...

დიზაინერ თინათინ მაღალაშვილის სალონი გატეხეს

დიზაინერ თინათინ მაღალაშვილს სალონი გატეხილი დახვდა. ამის შესახებ ინფორმაციას თავად დიზაინერი სოციალურ ქსელში ავრცელებს:

– დღეს ჩემი სალონი დამხვდა გატეხილი... ბევრი არაფერი, თანხა და რამდენიმე სათამაშოა წაღებული, რომელიც სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის გვქონდა შეგროვილი. მადლობა ღმერთს, რომ თითქმის ყველა დავარიგეთ ახალ წლამდე! მაგრამ ფაქტი გულს მიკლავს! შეიძლება მოიპარო ფული, მაგრამ ბავშვების საჩუქარს ხელი როგორ უნდა მოკიდო!!! წერილდაკრულს!! ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მაინც არ შეაწუხებს ნამუსი?!!!! – წერს მაღალაშვილი. (პირველი რადიო)

დავით კირკიტაძის ძმა დააკავეს

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ დავით კირკიტაძის ძმა დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ.

უწყების ინფორმაციით, დავით კირკიტაძის ძმის წინააღმდეგ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით მიმდინარეობს.

საქმე აღძრულია 151-ე მუხლით, რაც მუქარას გულისხმობს, ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას ითვალისწინებს და სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით, რაც ხულიგნობის ფაქტს გულისხმობს.

გავრცელებული ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დავით კირკიტაძემ და მისმა ძმამ ირაკლი კირკიტაძემ დიღომში, იარაღის მუქარით პოლიციელს სცემეს. კირკიტაძეები ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რა დროსაც სამართალდამცველი დაინახეს და მისი მისამართით გინება დაიწყეს.

ირაკლი კირკიტაძემ პოლიციელს იარაღი დაუმიზნა და მოკვლით ემუქრებოდა. იარაღის მუქარის ქვეშ მყოფ პოლიციელს ძმები კირკიტაძეები ფიზიკურად გაუსწორდნენ და თავი იარაღით გაუტეხეს.

პოლიციელი სხვადასხვა დაზიანებებით საავადმყოფოშია გადაყვანილი, ხოლო ირაკლი კირკიტაძე დაკავებულია. (ნოუმოსტი, მარშალპრესი)

იმის გათვალისწინებით, რომ დავით კირკიტაძე პარლამენტის წევრი არ არის, შესაბამისად, თუ ინციდენტში ფიგურირებს, ძმის მსგავსად, ბორკილები მასაც ეკუთვნის. ვცადეთ კირკიტაძესთან დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ. შს სამინისტროში კი „ალიას“ განუმარტეს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, დაკავებულის გვარ-სახელს ამ ეტაპზე ვერ დაგვისახელებდნენ. გვითხრეს მხოლოდ ის, რომ დაკავებულია ი.კ., ხოლო სხვა პირი ინციდენტში არ ფიგურირებს.

სათვალე შეცვლის... ექიმსაც და ფსიქოლოგსაც

სამედიცინო ნოუ-ჰაუს შექმნას რუსი მეცნიერები აპირებენ - ადამიანი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს... სათვალეების დახმარებით შეძლებს.

იდეის ავტორები განმარტავენ, რომ „ჭკვიანი აქსესუარის“ შექმნა შეუძლებელია მსოფლიოში ყველაზე პატარა ატომური საათების გარეშე. ამდენად, პირველ რიგში, სპეციალისტები მუშაობას ამ მიმართულებით დაიწყებენ.

საათის გაბარიტები ასანთის კოლოფისას არ გადააჭარბებს, თუმცა ის შეიქმნება არა იმისთვის, რომ ვინმემ მაჯაზე გაიკეთოს, არამედ იმისთვის, რომ საკონტროლო მოწყობილობების სინქრონული მუშაობა უზრუნველყოს. ატომური საათის მიხედვით მოხდება ნებისმიერი აღჭურვილობის მომართვა და სინქრონიზაცია.

სწორედ ასეთი საათის საფუძველზე იგეგმება უზუსტესი ნანომოწყობილობის შექმნაც, რომელიც იმდენად მიკროსკოპული იქნება, რომ სათვალის სახელურზე მიმაგრდება.

ატომების ჩქაროსნული მოქმედების ხარჯზე, ის პრაქტიკულად, მომენტალურად განსაზღვრავს ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ მდგომარეობას.

ნანომოწყობილობის მიკროსკოპული ზომა სათვალისთვის სხვა ფუნქციების მინიჭების საშუალებასაც გამოიღებს. მაგალითად, სპეციალური განყოფილებით, საიდანაც ადამიანის ორგანიზმში საჭირო პრეპარატი შევა, თუკი ასეთი საჭიროება დადგება.

პირველ რიგში, სათვალე დასჭირდებათ პაციენტებს, რომლებსაც დასმული აქვთ დიაბეტის დიაგნოზი, არიან ტრავმირებულები როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.

როდის გამოჩნდება რუსების „ჭკვიანი სათვალე“, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობია.

mk.ru

ინსულტგადატანილ პაციენტებს... ღამურა დაეხმარება

ღამურების ნერწყვი, რომლებიც სისხლით იკვებებიან, ინსულტგადატანილ ადამიანებს ძალიან დიდ დახმარებას აღმოუჩენს. საქმე ისაა, რომ ამ არსებების ნერწყვი შედგება შენაერთებისგან, რომლებსაც სისხლის გათხელება და ტვინში თრომბების დაშლა შეუძლია.

მედიკოსები განმარტავენ, რომ ინსულტის შემდეგ, პაციენტებს სჭირდებათ ინექციები, რათა შეტევიდან მომდევნო 4 საათში შედედებული სისხლი გათხელდეს. თერაპია სასურველ შედეგს მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღებს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არსებული პრეპარატები ექიმებს პაციენტის გადარჩენის მინიმალურ შანსს აძლევს. რაც შეეხება ღამურას ნერწყვში აღმოჩენილ შენაერთებს, მისი დახმარებით წარმატება, ფაქტობრივად, გარანტირებულია.

სპეციალისტებმა ღამურების ნერწყვი იმ მიზეზით შეისწავლეს, რომ მეცნიერებისთვის დიდი ხანის ცნობილი ყოფილა, რომ ისინი ნერწყვს იმისთვის იყენებენ, რათა მსხვერპლის სისხლი მაქსიმალურად გაათხელონ და ადვილად დალიონ. საბედნიეროდ, ექსპერიმენტმა გაამართლა და თანამედროვე მეცნიერებამ საკმაოდ სასიკეთო შედეგი მიიღო.

medportal.ru

კიბოს საწინააღმდეგო და გამაახალგაზრდავებელი... ძეხვი

ხანდახან ისე აეწყობა ხოლმე, კვირის მანძილზე შეიძლება ერთმა ადამიანმა 2 კილომეტრი ძეხვი მიირთვას... აბა, მოსაბეზრებელია სულ ხაჭაპური და ლობიანი ჭამოს კაცმა და მიასკდება ხოლმე ბევრი ამ გემრიელ, თუმცა საკმაოდ საშიშ პროდუქტს.

დიახ, ძეხვი მართლაც საშიში და მავნებელი ნანარმია და ეს ყველამ კარგად იცის, თუმცა უმრავლესობა მის დაგემოვნებაზე უარს მაინც არ ამბობს. ხომ გითხარით, სულ ხაჭაპური და ლობიანი მოსაბეზრებელია-მეთქი, ვაააჰ!..

ალბათ, ბევრს ძალიან გაუხარდება, რადგან, როგორც გავიგეთ, ბულგარელმა მეცნიერებმა საშიში და მავნებელი კი არა, ჰაერივით საჭირო ძეხვის სახეობა შექმნეს, რომელიც... კიბოსთან ბრძოლას ახერხებს. სიახლის ავტორები განმარტავენ, რომ მათ პროდუქტში ლიკოპინი შედის, ნივთიერება, რომელიც ამცირებს ონკოლოგიის რისკს და ასევე, კანის დაბერების პროცესსაც აფერხებს.

შეგახსენებთ, რომ ლიკოპინს დიდი რაოდენობით შეიცავს პომიდორი, რის გამოც ის წითელი ფერისაა.

საინტერესოა, რომ წარმოებაში ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, ფაქტობრივად, არავითარ დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს. კერძოდ, ძეხვში ტომატ პასტების დამზადების შედეგად დარჩენილ პომიდვრის კანს დაუმატებენ, ეს არის და ეს.

იმედია, „სასწაულმოქმედი ძეხვის“ წარმოება ბულგარეთში ისეთ მასშტაბებს მიიღებს, რომ მის ექსპორტზეც იზრუნებენ - აბა, მხოლოდ ბულგარელებს ხომ არ უნდათ, ჯანმრთელები და ლამაზები იყვნენ?

myjane.ru

ქალის მომხიბვლელობის საიდუმლო მისი სიარულის მანერაშია?

ჩვენ თუ გვკითხავს ვინმე, ვეტყვით, რომ თითოეული ქალის მომხიბვლელობის საიდუმლო ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გვგონია, თუმცა გერმანელი მეცნიერები სხვანაირად ფიქრობენ და ახლავე გეტყვით, როგორია მათი მოსაზრება.

გეტინგის უნივერსიტეტის სპეციალისტების ჯგუფმა დაადგინა, რომ ქალის მომხიბვლელობის მთავარი საიდუმლო მისი სიარულის მანერაში იმალება. რაც უფრო ქალურია სიარული, შესაბამისად, მით მეტია მამაკაცების ყურადღება.

მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ სიარული პირდაპირ კავშირშია ფერტილობასთან (შთამომავლობის რეპროდუქციის უნარი). როცა ფერტილობა მომატებულია, მამაკაცი ქალის სიარულზე ყველაზე ძლიერად რეაგირებს. როცა ფერტილობა მინიმალურია, მამაკაცს ქალი, ფაქტობრივად, არ იზიდავს.

კვლევის ფარგლებში გერმანელმა მეცნიერებმა 48 მომხიბვლელი ქალის სიარული ვიდეოკამერით გადაიღეს. აქცენტი კეთდებოდა სიარულის პროცესში თეძოების რხევაზე. ამის შემდეგ ჩანაწერი ისე დამუშავდა, რომ მხოლოდ სილუეტი იყო დატოვილი. თითოეული ქალის გადაღება ორჯერ ხდებოდა: ჩასახვის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ალბათობისას.

შემდგომ ეტაპზე მკვლევარებმა ჩანაწერები 200-მდე მამაკაცს აჩვენეს. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ „ექსპერტების“ აბსოლუტურ უმრავლესობას ისეთი ქალები მოეწონათ, რომელთა ორგანიზმი ბავშვის ჩასახვისთვის მზად იყო.

dr20.ru

ცოლ-ქმარმა შვილის... უსქესოდ აღზრდა გადაწყვიტა

ალბათ, პირველ რიგში, ის დაგაინტერესებთ, რას ნიშნავს შვილის „უსქესოდ აღზრდა“, არა? ახლავე ყველაფერს აგიხსნით:

ინგლისელმა ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, შვილის სქესი მის სრულწლოვნობამდე დამალოს, რათა შემდგომში არჩევანის უფლება ჰქონდეს. ანუ, როცა სრულწლოვანი გახდება, თავად გადაწყვიტოს, ქალობა მოუნდება თუ კაცობა.

მსუბუქად რომ ვთქვათ, ამ სულელური გადაწყვეტილების ავტორები 38 წლის კეტი ვიტერიკი და 39 წლის დევიდ სტოკერი არიან, რომელთაც სურთ, საკუთარი 4 თვის შვილის სქესი არავის გაუმხილონ.

ცნობილია, რომ ცისფერთვალება პატარას მშობლებმა სახელად შტორმ ვიტერიკი შეურჩიეს.

– მსოფლიოს სტერეოტიპები მართავს და სწორედ ამის გამოსწორება გვსურს. ბავშვს უფლება უნდა ჰქონდეს, თავად გააკეთოს არჩევანი საკუთარ სქესთან დაკავშირებით, – ამბობს წყვილი.

რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას ბევრი აღშფოთებით შეხვდა, თუმცა ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც ცოლ-ქმრის „კრეატიულობითა და გამბედაობით“ მოიხიბლა.

– როცა ბავშვი იბადება, ყველა იმას კითხულობს, ბიჭია თუ გოგო? სინამდვილეში, ვისაც სურს, რომ ადამიანი გაიცნოს, არ უნდა აღელვებდეს, რა აქვს მას ფეხებს შორის, – ამბობს შტორმის მამა, რომელსაც დიდი სიამოვნებით დავკიდებდით ზუსტად იმით, რაც ფეხებს შორის აქვს!!!

შტორმის გარდა, წყვილს კიდევ ორი შვილი ჰყავს, რომლებსაც ასევე სტერეოტიპებისგან „შველიან“ და უფლებას აძლევენ, ხან შარვლები ეცვათ და ხანაც – კაბები...

lifenews.ru

ადამიანს შეუძლია, 200 წელი იცოცხლოს?

წარმოიდგინეთ ტორტი, რომელზეც იუბილარი 200 სანთელს ჩააქრობს. ჯერ ერთი, ძალიან ბევრი კვერცხია საჭირო, რაც დიდ ხარჯებს უკავშირდება, მერე მეორე - 200 წლის ადამიანი რომ ამდენსავე სანთელს ჩააქრობს, იქვე გასძვრება სული დაღლილობისგან.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ, ცოტა არ იყოს, უაზრობად გვეჩვენება 200-წლიანი სიცოცხლის პერსპექტივა – რა უნდა აკეთო ამდენი ხანი, შეგიძლიათ, გვითხრათ? ბოლოს და ბოლოს, სად 200 წელი რომ ინერვიულებ და სად ჰა-ჰა 70, ჰე-ჰე 80...

პროფესორი ჯორჯ იანგი ამტკიცებს, რომ უკვე დღეს დედამიწის მცხოვრებთა შორის უკვდავი ადამიანებიც მოიძებნებიან. უფრო რომ დავაზუსტოთ, მეცნიერი დარწმუნებულია, რომ დღეისთვის დედამიწელებს შეუძლიათ, 200 წელი იცოცხლონ.

ჯორჯ იანგი მიიჩნევს, რომ ნანოტექნოლოგიები, გენური ინჟინერია და შესაძლებლობა, შეიცვალოს ადამიანის ბუნებრივი ორგანოები ხელოვნურით, სიცოცხლის ხანგრძლივობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

მისივე თქმით, ადამიანები კი გარდაიცვლებიან, მაგრამ ახალი ტექნოლოგიები, მაგალითად, კლონირება, შესაძლებლობას გამოიღებს, მოხდეს ადამიანის „მკვდრეთით აღდგომა“.

– კლონირება – ეს არის პირველი, ჯერ კიდევ პრიმიტიული ნაბიჯი უსასრულო სიცოცხლისკენ, – ასეთია ჯორჯ იანგის პოზიცია.

tainamira.ru

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

ღვინო, რძე და სხვა „საშიში“ პროდუქტები თქვენი სახისთვის

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ტკბილეული და სასარგებლო პროდუქტად მიჩნეული რძის ნაწარმი სახის კანს ზიანს აყენებს.

ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე მეტად ადამიანის გარეგნობაზე მოქმედებს:

1. გლუტენი, ანუ წებოგვარა, რომელიც შედის თითქმის ყველა სახის ცომეულის შემადგენლობაში და არღვევს საჭმლის მონელების პროცესს;
2. რძე და რძის პროდუქტები;
3. შაქარი;
4. ალკოჰოლი.

როგორც სწავლულები ვარაუდობენ, სწორედ ეს პროდუქტები იწვევს სახეზე გამონაყარსა და ფერიმჭამელებს, სახის კანის ფერის შეცვლას, ნაადრევ ნაოჭებსა და თვალების ქვეშ დაკიდებულ უპეებს. მოდით, განვიხილოთ რა გავლენას ახდენენ ისინი ადამიანის სახის კანზე.

ღვინო და ალკოჰოლის შემცველი სხვა სასმელები

საკმარისია, ახალგაზრდა ქალმა საღამოობით ერთი ბოკალი ღვინო დალიოს, რომ მისი სახე აი, ასეთი გახდეს: ხაზები, ნაოჭი ან სიწითლე წარბებს შორის, დაკიდებული თვალის უპეები, გაფართოებული ფორები, სიწითლე ლოყებზე, ღრმად ჩაწოლილი ნაოჭები... და როგორ უნდა მოიქცეთ? უნდა შეწყვიტოთ ალკოჰოლის მიღება მინიმუმ 2-3 თვის განმავლობაში, რათა საჭმლის მომნელებელმა სისტემამ შეძლოს აღდგენა, შემდეგ კი უნდა ეცადოთ, რომ კვირაში მხოლოდ 3 დღის განმავლობაში მიიღოთ მხოლოდ ერთი ბოკალი სასმელი, უმჯობესია მშრალი ღვინო, რომელშიც შაქრის შემცველობა მინიმუმია.

შაქარი

ნამცხვრები, ფქვილოვანი ნაწარმი, თეთრი ბრინჯი ადამიანის ორგანიზმში სწრაფად გარდაიქმნება შაქრად, რაც იწვევს ინსულინის დონის მომატებას, შედეგად კი შეიძლება მივიღოთ აი, ასეთი სახე: ნაოჭებიანი, გამონაყარით დაფარული შუბლი (სწორედ ეს ზონა ასახავს საჭმლის მონელების პრობლემებს), ჩამოკიდებული კანი თვალების ქვემოთ, გადაღლილი სახე, გამონაყარი მთელ სახეზე, ნაცრისფერი სახის კანი. არსებობს კიდევ ერთი საინტერესო სიმპტომი-წარბები. ინსულინის მკვეთრი მომატება ძალიან ცუდად მოქმედებს კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობაზე, რომელიც, თავის მხრივ, პასუხს აგებს წარბების სიხშირეზე. ასე რომ, თუ წარბები შეგითხელდათ და გცვივათ, იცოდეთ, რომ თქვენს კუჭქვეშა ჯირკვალს სტრესის ქვეშ უწევს მუშაობა.

როგორ უნდა მოვიქცეთ? – უარი უნდა თქვათ შაქრის დამატებით წყაროზე, როგორიცაა ცომეული ნაწარმი და ტკბილეული, ხილის წვენები, რაფინირებული შაქრის შემცველი სხვა პროდუქტები. მოკლედ, ეცადეთ, თავიდან ნელ-ნელა შეამციროთ მათი ნორმა, ბოლოს კი სრულებით ამოიღოთ რაციონიდან.

რძე

აი, ნათელი მაგალითი იმისა, რომ თქვენს ორგანიზმს უწევს გამკლავება ჭარბ ლაქტოზასთან, რომელიც, რძის გარდა შედის იოგურტის, ყველის და არაყნის შემადგენლობაში.

ტიპური სიმპტომებია: შესიებული ქუთუთოები, ტომრები და შავი წრეები თვალების ირგვლივ, წვრილი თეთრი გამონაყარი და ფერიმჭამელები ნიკაპზე (სწორედ ეს ზონა აგებს პასუხს

რეპროდუქტიულ ორგანოებზე).

რა უნდა ვქნათ? – უარი უნდა თქვათ რძის ნაწარმზე 3 კვირის განმავლობაში. შედეგს თვალნათლივ ნახავთ.

გლუტენი

ხომ არ გეცნობათ ასეთი ნიშნები სახეზე: ლოყების შესიება და სიწითლე, პიგმენტაცია და გამონაყარი ნიკაპზე, როზაცეა, ანუ ვარდისფერი გამონაყარი, დაფარული უხეში კანით, რომელიც მიგვანიშნებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის დარღვევაზე.

როგორ უნდა მოვიქცეთ? – უარი უნდა ვთქვათ გლუტენის შემცველ პროდუქტებზე (ცომეული, თეთრი ბრინჯი) და მივიღოთ საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის სასარგებლო პროდუქტები (უჯრედისი, გარგარის ჩირი, ნიგოზი, ქლიავის ჩირი, ბოსტნეული) და კიდევ, ვსვათ რაც შეიძლება მეტი წყალი, სწორედ ეს დაგვიცავს შესიებული ლოყებისა და შეშუპებული თვალის უპეებისგან.

ყველას გისურვებთ ჯანმრთელობასა და სილამაზეს!

intermedia.ge

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

ალერგიის გამომწვევი მიზეზი შეიძლება... წყალიც გახდეს?

ვინ იფიქრებდა, რომ წყალი, ერთი შეხედვით უსაფრთხო სითხე ალერგიის გამომწვევი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ბრიტანელმა მეცნიერებმა ასეაო და მოდი და ნუ ენდობი.

წყალს შეუძლია, გამოიწვიოს წყლის ჭინჭრის ციება, რითიც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იტანჯება. ეს ალერგია რამდენიმე საათიდან რამდენიმე კვირამდე შეიძლება გაგრძელდეს.

წყლით გამოწვეული ალერგიის პირველი შემთხვევა ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ დაფიქსირდა.

მდაა, წყალიც აღარ არის სანდო. ვნახოთ, ჰაერში როდის აღმოაჩენენ სიცოცხლისთვის საშიშ ბაქტერიებს.

myjane.ru

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

აშშ-ში ტყუპები სხვადასხვა წელს დაიბადნენ

ალბათ, ვინმემ რომ გკითხოთ, რამდენია სამი წუთი, დაიბნევით, ან სულაც გაბრაზდებით და სულელური კითხვის ავტორს საკადრის პასუხს გასცემთ. ნუ იჩქარებთ, ცნობილია, რომ ამოუცნობ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი ხდება და ყველა ერთი შეხედვით სისულელეს აზრი აქვს.

სან-დიეგოში დაფიქსირებული ფაქტის შემდეგ, სამი წუთი ერთ წელიწადად იქცა. ერთ-ერთ სამმობიაროში ახალი წლის ღამეს ტყუპები გაჩნდნენ. გოგონა ჟალინი 2015 წლის 31 დეკემბერს 23:59 საათზე დაიბადა, ხოლო მისი ძმა ლუისი ახალ წელს მიეგება და 00:02 საათზე გაჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლუისი ქვეყანას 2016 წლის პირველ იანვარს მოევლინა.

რა გამოვიდა? ჟალინი სამი წუთითაა უფროსი ძმაზე თუ ერთი წლით? ხომ სასაცილოა, მაგრამ ფაქტია.

anekdot-dnya.ru

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

მთვრალ მამაკაცს მორგში გაეღვიძა

საკუთარ სიცოცხლეს რომ გაეთამაშები, იმის ნებას არ გაძლევენ ახლობლები. რასაა რომ აკეთებ, გვჭირდები, რას კვდები, რომ კვდებიო. ამ ჩვენს გმირს კიდევ ვინ აცალა, აქეთ გაეთამაშნენ ექიმები მის სიცოცხლეს და ზედაპირული დაკვირვების მერე მორგში უკრეს თავი.

რუსეთში, ხასანის რეგიონის ერთ-ერთ კაფეში მეგობრებს საახალწლო ტაშ-ფანდური ჰქონდათ გამართული. მოულოდნელად ერთ-ერთ მეგობარს მწვავე ინტოქსიკაციის წყალობით გული წაუვიდა. ადგილზე მისულმა ექიმმა ეგრევე დაასკვნა – მკვდარია თქვენი მეგობარი, ცოცხლებში მისი ადგილი არაა და მიგვყავს მორგშიო.

სად იყო და სად არა, „გარდაცვლილი“ გონს მოვიდა. ჯერ ვერ მიხვდა, სად იყო და სადაც იყო, იქ ასე რატომ ციოდა, მერე მოულოდნელად მის გვერდით განსვენებულ გვამს შეეხო. დაფრთხა კაცი, მივარდა კარს და დაიწყო ყვირილი. მედპერსონალმა თავიდან ჩათვალა, მოგვეყურაო, მაგრამ ხმაური რომ არ შეწყდა, პოლიციას გამოუძახა. პოლიციამაც დაკითხა საიქიოდან დაბრუნებული კაცი და თავისი გზით წასვლის ნება დართო. სად შეიძლებოდა წასულიყო მისი გზა, თუ არა იმავე კაფეში, საიდანაც საიქიოს გზას გაუყენეს. მივიდა და შეუერთდა მეგობრების კამპანიას, რომელიც არ დაშლილიყო და ამჯერად მისი ნათელი ხსოვნის სადღეგრძელოს სვამდა.

შეუერთდა ეს ჩვენი გმირიც და დილამდე სვამდნენ განურჩევლად სააქაოსა და საიქიოს სადღეგრძელოებს.

etotupo.ru

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

რამდენ მაგნიტურ ქარიშხალს უნდა ველოდოთ 2016 წელს?

გთავაზობთ კიდევ ერთ წინასწარ პროგნოზს 2016 წლისთვის. მომავალ წელს მოსალოდნელია 40 მაგნიტური ქარიშხლის რისხვა. აქედან 7 განსაკუთრებით ძლიერი იქნება და მზად იყავით, ხალხო.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, ამ მხრივ, მზის აქტივობა გაცილებით იშვიათი იყო. სულ სამი ათეული მაგნიტური ქარიშხალი დაფიქსირდა და ყველაზე ძლიერი 22 ივნისს იყო. მედიკოსები კი მეტეოდამოკიდებულ ადამიანებს, რომლებზეც ამინდის ცვლილება განსაკუთრებით მოქმედებს, ურჩევენ, რომ ახალი ამბები იკითხონ და ყოველთვის მზად იყვნენ. თან იქონიონ საჭირო წამალი და ნებისმიერი სახის დატვირთვისგან თავი შეიკავონ.

მოკლედ, ცეცხლოვანი მაიმუნის წელი ყოველმხრივ აქტიური იქნება.

myjane.ru

მესაზღვრეების ქვედანაყოფს უდაბნოში გზავნიან და ინსტრუქტაჟს უტარებენ:

– თუ გველი გიკბენთ, აუცილებელია ჭრილობიდან შხამის გამოწოვა.

– და თუ გველი პენისზე მიკბენს?

– ჰოდა, მაშინ გაიგებ ზუსტად, ვინ არის შენი ნამდვილი მეგობარი!..

*****

ქუთაისელი მამაოსთან მივიდა:

– მამაო, თუ შეიძლება, ზეთი მაცხე.

– ეკლესიაში დადიხარ, შვილო?

– არა, მამაო, არ დავდივარ.

– და ლოცვებს კითხულობ?

– არა, მამაო, არ ვლოცულობ.

– აბა, ზეთი რად გინდა, ჭრაჭუნობ?!

*****

ექიმი-ფსიქოანალიტიკოსი პაციენტს:

– დეტალური გამოკვლევის შემდეგ, თქვენთვის ორი სიახლე მაქვს - კარგი და ცუდი. ცუდი ის არის, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე თქვენ ფარული ჰომოსექსუალი ხართ.

პაციენტი:

– და კარგი რაღაა?!

ექიმი პაციენტს ახლოს ჩამოუჯდა:

– ძალიან სიმპათიური ხართ!..

*****

სწრაფი მატარებელი. გამცილებელი ყოველ კუპეში თავაზიანი ღიმილით იხედება:

– უცხოელი არის ვინმე?

პასუხი ყველგან უარყოფითი აღმოჩნდა. გამცილებელი დერეფანში გადის და ყვირის:

– კოტე, გამორთე კონდიციონერი, მარტო ქართველები არიან!..

*****

– ოფიციანტო, რატომ გდია ჩემს წვნიანში სმენის აპარატი?!

– ვერ გავიგე, გამიმეორეთ, თუ შეიძლება...

*****

– საყვარელო, წაიქეცი?

– არა, იდიოტო, „რესკად“ წამოვწექი!..

მოამზადა მიხეილ სახვაძემ
დავით ახობაძის ნახატი

გვერდი მოამზადა **დარინა ძამადაძე** 593 19-85-99

НЕКРОЛОГЕБИ, ГАНЦХАДЕБЕБИ, МИЛОЦВЕБИ

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

თამბაქოსთან განშორებაში... ოცნება დაგვეხმარება

ჰო, ოცნებაო, ზუსტად ასე ამბობენ სპეციალისტები, ოღონდაც, „ქართულ ოცნებაზე“, რასაკვირველია, არავინ საუბრობს. ჯერჯერობით, პარტიას მსგავსი სამკურნალო თვისებები არ გამოუვლენია და იმიტომ...

ჰოდა, იმას ვამბობდით, რომ, როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, სიგარეტის გადაგდებას ძალიან ადვილად შეძლებენ ის ადამიანები, რომლებიც მომავალს იმედით უყურებენ და ოცნებას არიან შეჩვეულები.

აღნიშნული დასკვნა ნიუკასლის უნივერსიტეტის სპეციალისტებს ეკუთვნით, რომლებმაც დაახლოებით ორი ათასი ადამიანის მდგომარეობა შეისწავლეს.

კვლევის ფარგლებში, ექსპერტებმა მოხალისეებს თავიანთი სამომავლო გეგმების შესახებ მოყოლა სთხოვეს. ზოგს თითქმის მთელი ცხოვრება ჰქონდა უკვე დაგეგმილი, ზოგიერთები კი მომდევნო კვირასაც კი არ გეგმავდნენ წინასწარ.

დაახლოებით 8 წლის გასვლის შემდეგ სპეციალისტებმა შედეგები შეაჯამეს. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 77 პროცენტს მოწევისთვის თავი ჰქონდა დანებებული. რაც ყველაზე მთავარია, მავნე ჩვევა სამუდამოდ მოიშორეს სწორედ იმ ადამიანებმა, რომლებსაც მომავალი წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი.

– ოპტიმიზმმა და მომავლის იმედმა მათ სიგარეტი გადააგდებინა, – ასეთია მეცნიერების დასკვნა, რომელიც ცოტა რთული დასაჯერებელი კი არის, მაგრამ თქვენც იოცნებეთ, ოცნებასთან მეგობრობისთვის განა ვინმე დაუსჯიათ? ნუ, ახლა, საქართველოს არ ვგულისხმობთ...

pronowosti.ru

ქიშმიში სპორტსმენებისთვის სასარგებლოა

პრინციპში, არა მხოლოდ სპორტსმენებისთვის, თუმცა ამერიკელი მკვლევარები სწორედ მათზე აკეთებენ აქცენტს.

კონტინენტსგაღმელებმა დაადგინეს, რომ ქიშმიშის ხშირად მიღება საშუალებას იძლევა, შეჯიბრებების დროს დაკარგული ენერგია სპორტსმენმა ძალიან მალე დაიბრუნოს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა საკმაოდ ხანგრძლივი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მორბენალი სპორტსმენები იყვნენ ჩართულები. ექსპერიმენტი 3 ეტაპად იყო დაყოფილი, რომელთა შუალედში მოხალისეები 7-7 დღე ისვენებდნენ.

ყოველ ეტაპზე 8-კილომეტრიანი დისტანციის დაფარვის შემდეგ, სპორტსმენები იღებდნენ ჩვეულებრივ წყალს, სპეციალურ სპორტულ პროდუქტს და ქიშმიშს.

შედეგად აღმოჩნდა, რომ საუკეთესო შედეგები სწორედ იმათ ჰქონდათ, ვინც ქიშმიშს იღებდა.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ქიშმიში სავსეა კალიუმით, რკინითა და ძალიან დიდი რაოდენობის ანტიოქსიდანტებით.

აღსანიშნავია, რომ ქიშმიში სასარგებლოა ნებისმიერი ადამიანისთვის, რადგან ის ძალიან დიდ დახმარებას უწევს იმუნურ სისტემას.

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

dr20.ru

ჰოროსკოპი

ვერძი 21.03-21.04
6 იანვარი: შეიძლება დღეს მოიწყინოთ, უხალისოდ იყოთ. ამის უებარი საშუალება ძველი, გამოცდილი მეგობრების კამპანიაა.

კურო 22.04-21.05
6 იანვარი: საკუთარ თავს სარკეში დიდხანს არ უყუროთ, შეიძლება თქვენმა ბრწყინვალებამ დაგაბრმაოთ. მოშურნეების ქილიკი უნდა აიტანოთ.

ტყუპები 22.05-21.06
6 იანვარი: რაღაცა ისე გაგიტაცებთ, აუტანელი თანამოსაუბრე იქნებით და თქვენი შეჩერება შეუძლებელი იქნება. თავად გაჩუმდით, სანამ ამას სხვა გააკეთებს.

კირჩხიბი 22.06-22.07
6 იანვარი: შეიძლება თქვენივე უყურადღებობის გამო ინანოთ. ამას ველარაფერს მოუხერხებთ, მაგრამ შემდგომისთვის გაკვეთილს მიიღებთ.

ლომი 23.07-22.08
6 იანვარი: შეიძლება დღეს წარსული წლები გაგახსენდეთ და ამის გამო დანაღვლიანდეთ. არ დაგავიწყდეთ, ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია.

ქალწული 23.08-22.09
6 იანვარი: ძალიან ფრთხილად იქნებით, პირველივე შემხვედრს თქვენს პირად ცხოვრებაზე არ დაელაპარაკოთ. არავინ იცის ამას როგორ გამოიყენებს.

სასწორი 23.09-22.10
6 იანვარი: მხოლოდ ერთ საკითხზე მოახდინეთ კონცენტრაცია, თორემ მკითხაობა მოგიწევთ, რით დაიწყოთ აქტიური საქმიანობა. მოკლედ, დრო ტყუილად არ დაკარგოთ.

მორიელი 23.10-21.11
6 იანვარი: არის ალბათობა, რომ მომავლისთვის საუკეთესო პერსპექტივა გამოგიჩნდეთ. ყველანაირად ეცადეთ, პოზიციები არ დათმოთ.

მშვილდოსანი 22.11-21.12
6 იანვარი: დატკბით ოჯახის ჰარმონიული ურთიერთობებით. თუ ასეთი რამ არ არსებობს, თავად გადადგით ნაბიჯი მსგავსი სიტუაციის შესაქმნელად.

თხის რქა 22.12-19.01
6 იანვარი: თქვენი რესურსები დღეს საკმაოდ შეზღუდული იქნება, ამიტომ მათი წინდახედულად ხარჯვა მოგიწევთ. დრო აკონტროლეთ და დროულად შეჩერდით.

მერწყული 20.01-18.02
6 იანვარი: ძალიან აღელვებული იქნებით და ბრალი იმას, ვინც თვალში მოგხვდებათ. შეეცადეთ, ვინმე არ დააზიანოთ.

თევზები 19.02-20.03
6 იანვარი: დღეს ზუსტად უნდა იცოდეთ, ვისი იგნორირება მოახდინოთ და როდის გაეცალოთ სიტუაციას. აკურატულობა კონფლიქტის აცილებაში დაგეხმარებათ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

ენაბლუობის დამარცხება ერთ კვირაში მოხერხდება?

ძალიან ბევრი ადამიანის თავის ტკივილია ენის მოკიდება, თუმცა თუკი ჩინელი მეცნიერების ახალმა მეთოდმა გაამართლა, თითოეული მათგანი ამ უსიამოვნებას ადვილად მოაგვარებს.

სწორედ ჩინეთში იქნა გამოგონილი მეთოდი, რომლის დახმარებითაც, როგორც ამბობენ, ენაბლუობა სულ რაღაც ერთ კვირაში გამოსწორდება.

მკურნალობის ახალი მეთოდი ტვინზეა დაპროგრამებული და განკურნების მექანიზმს უმაღლეს დონეზე ქმნის. ამის წყალობით, პროცედურა მხოლოდ ერთ კვირას გრძელდება.

მეცნიერებმა ტვინის „გადატვირთვის“ გამოცდა 15 მოხალისეზე ჩაატარეს, რომელთაც მკურნალობის დაწყებამდე ტვინის სკანირება ჩაუტარეს. ამის შემდეგ, ერთი კვირის მანძილზე მკურნალობა მიმდინარეობდა - პაციენტები დასურათებულ ტექსტებს კითხულობდნენ და ორმარცვლიან სიტყვებს იმეორებდნენ. და ასე დღეში სამჯერ. ბოლო ეტაპზე ენაბლუობა მათ სრულად უქრებოდათ.

სპეციალისტებმა განმეორებითი სკანირებაც ჩაატარეს, რომელმაც აჩვენა, რომ მეტყველებაზე პასუხისმგებელი თავის ტვინის ნაწილი ძლიერ იყო შეცვლილი, რამაც გამოიწვია კიდეც სასურველი შედეგი.

golosscience.com

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდაა. აუდიტორიიდან განერვიულებული სტუდენტი გამოვიდა. ჯგუფელები გარს შემოეხვივნენ:

– რა ქენი, ჩააბარე?

– ვერა.

– რატომ?

– რა ვიცი, რაღაც სულელური შეკითხვა დამისვა და...

– რა გკითხა ასეთი?

– „რა უნდა გქონდეს, ოყნა რომ გაიკეთო?“

– მერე რა უპასუხე?

– რა ვუპასუხე და – ტრაკი...

მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.05